პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ოთხშაბათი 13 მაისი № 110 (18052) ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის მიზნით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო გამოყენებისათვის ქალაქ მოსკოვის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ“

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოსკოვის მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მითითებით უმცირესი დანახარჯებით მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის საჭიროების შესახებ, გამოიჩინეს ინიციატივა გააჩაღონ მოძრაობა, რათა წარმოებაში ფართოდ დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რაც უზრუნველყოფს შრომითი, მატერიალური, ენერგეტიკული რესურსების მაქსიმალურ ეკონომიას.

შეჯიბრების ინიციატორების — მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და მოსკოვის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების „ზარიას“ შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი გამოხატავენ თითოეული კოლექტივის, ყოველი მშრომელის მისწრაფებას ყაირათიანად მოეკიდონ საზოგადოებრივ დოვლათს, უფრო სრულად გამოიყენონ მთელი არსებული რესურსები, სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი.

ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ფართოდ გაშლა სოციალისტური შეჯიბრება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებისათვის. ავტომქარხნელებმა ვალდებულება აიღეს ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის გაფართოებისა და გაღრმავების საფუძველზე დანერგონ 46 ერთობლივი ნაშუშავარი, რომლებიც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებას, საწარმოო პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციას, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაზოგვას.

საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა შეძენილი გამოცდილების საფუძველზე გააძლიეროს საამქროებისა და საწარმოო უბნების რეკონსტრუქციის ტემპი. შემუშავებული ღონისძიებებთ გათვალისწინებულია ავტომობილების მუშაობის რესურსი გადიდდეს 16 პროცენტით, ძრავებისა — 20 პროცენტით. ქარხანაში მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება შეაძლებელს გახდის ხუთწლედის დამლევისათვის შავი ლითონების ნაგლინის ხარჯი დაწეს ეფექტურ ნორმატივებთან შედარებით შემცირდეს 120 ათასი ტონით პროდუქციის წლიურ გამოშვებაზე გაანგარიშებით.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება 1981-1985 წლებში სახალხო მეურნეობას მოუტანს 320 ათას მანეთზე მეტ ეკონომიკურ ეფექტს, დაზოგავს ნორმასთან შედარებით 500 ათას ტონა ბენზინს, 45 ათას ტონა საღებავს და საქვაბე სათბობს.

ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების „ზარიას“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები მაქსიმალურად იყენებენ წარმოების რეზერვებს, რათა წარმატებით შეასრულონ 1981 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალები.

გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა ვადამდე აითვისოს 1,5 მილიონი წყვილი ქალისა და ბავშვის ფეხსაცმლის საწარმოო სიმძლავრენი; პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის გზით გამოუშვას მომდინარე ხუთწლედში 1800 ახალი მოდელისა და ფასონის ფეხსაცმელი, „ამოთან 800—საბავშვო ასორტიმენტი.

მეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეასრულოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საფეხსაცმლე ტყავისა და ქსოვილის გამოჭრის რაციონალური მეთოდების წარმოებაში დანერგვის სამუშაოთა კომპლექსური პროგრამა და ამ საფუძველზე ხუთი წლის განმავლობაში დაზოგოს 32 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავმასალა, დაამზადოს დაზოგილი მასალისაგან 1,1 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოწინავე კოლექტივების ახალ ინიციატივას ფართოდ დაუჭერენ მხარს მოსკოვის საწარმოორგანიზაციები. მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების ბაზაზე შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დასაზოგავად მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს ჩარხსაშენებელმა საწარმოებმა — ქარხანა „წითელმა პროლეტარმა“ და სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ. საწარმოო გაერთიანებებმა — „მოსკოვის ელექტრომილაკების ქარხანამ“, ფარდა-მაქმანისამ, მოსკოვის „ზუსტმსუბუქმანქანამ“, „წითელმა გოლიათმა“ და სხვებმა.

მოსკოველმა მეცნიერებმა ვალდებულება იკისრეს სახალხო მეურნეობას გადასცენ დაახლოებით 6 ათასი ნაკვლევი და ნაშუშავარი, რომელთა მოსალოდნელი სახალხო-სამეურნეო ეფექტი 2,0 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულებათა შესაბამისად ინსტიტუტების კოლექტივები მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ მოსკოვის თითქმის ათას საწარმოს.

მოსკოვის მრეწველობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მომდინარე ხუთწლედში პროდუქციის მთელი მატება უზრუნველყონ მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. დედაქალაქის საწარმოებში წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვის შედეგად დასახულია შეეცირდეს ხელის ოპერაციებზე დასაქმებულ მუშათა რიცხვი უკვე ხუთწლედის პირველ წელიწადს 20 ათასი კაცით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის მიზნით გააჩაღეს მოძრაობა, რათა ფართოდ დანერგონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს რჩევა მიეცათ აქტიურად გამოიყენონ ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება შრომის, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისა და ამ საფუძველზე მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში. იღვაწონ მეოერთმეტე ხუთწლედის შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისას წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებისა და არსებული რეზერვების უფრო სრული გამოყენებისათვის.

ოქტომბრის დროშით, აღმშენებლობის მწვერვალებისაკენ!

სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

მაისის წვიმით პირდაბანილი, წითელი დროშებითა და ტრანსპარანტებით, საღღესასწაულოდ მორთული შეხვდა ცხინვალი 11 მაისს სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმრებს. ზღაპრულად ლამაზია გაზაფხულზე რესპუბლიკის ამ საოცარი მხარის ბუნება. კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალები, რომლებსაც ჯერ კიდევ შემორჩენიათ თოვლის საფარი, კონტრასტს ქმნიან ზურმუხტისფერ ბორკვებთან, რომლებიც გარს ეკვრის ავტონომიური ოლქის დედაქალაქს, თეთრ-ვარდისფრად ფაფუქებული ბალები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანან გადახნული მიწის ფონზე, მიწისა, რომელშიც ღვიდება თესლი, რათა დარქმული დროს იქცეს მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის უხვ მოსავლად...

დღეს ცხინვალელებსა და მათ სტუმრებს სანეზე ღიმილი დასთამაშებს. დიდია მშრომელთა, აღმშენებელთა სიხარული, რომლებიც იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს. საამაყო ბევრი რამ აქვთ ავტონომიური ოლქის მუშებსა და კოლმეურნეებს, მშრომელ ინტელიგენციას. სასახელოდ იშრომეს მათ მეათე ხუთწლედში, ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას. სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფი ერგება მრეწველობაში 10,5 პროცენტით გაიზარდა. თხუთმეტჯერ გადიდდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის მოცულობა, სახალხო მეურნეობაში ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით 1,8-ჯერ გაიზარდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 89,6 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ანუ 1,24-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში.

კარგი გუნება-განწყობილების საფუძველი აქვთ სოფლის მეურნეობის მშრომელებსაც. ოქტის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანი პროდუქციის მოცულობა 44 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში 18 პროცენტით გადიდდა. შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, რძის, მატყლის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები. ცხინვალისა და ზნაურის რაიონებში ამოქმედდა სამრეწველო მეცხოველეობის კომპლექსები.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებთ გამოწვეული არნახული პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმი ამ დღეებში გამოიხატება დამკვრელური, თავდადებული მუშაობით, შრომითი კოლექტივების მკაციდ გადაწყვეტილებით, რაც ეკისტა მეტი წვლილი შეიტანონ ჩვენი დიადი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

ასეთი პატრიოტული გრძნობებით გამოვიდნენ 12 მაისს ცხინვალის ქუჩებში და მოედნებზე მისი მცხოვრებნი, საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოსული ავტონომიური ოლქის ყველა რაიონის წარმომადგენლები, საბრძოლო ლოდა შრომითი ჯილდოებით მკერდამშვენებული ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდა წარმოების მუშაკები, სტუდენტები, მოსწავლეები, მეცნიერები, ლენინური პარტიის წევრები, კომკავშირელები, უპარტიოები — ადამიანები, რომლებიც მონოლითურად არიან შეკავშირებული ერთი საერთო მიზნით, ერთი მისწრაფებით: ააშენონ ყველაზე მშვენიერი, ყველაზე სამართლიანი — კომუნისტური საზოგადოება.

დღესასწაულის მონაწილეებმა ჩაიარეს მარქსის, ენგელსის, ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და ეროვნებების ბელი. და ამრიგად, ავტონომიების ზეიმობანი თითქოს ამზადებენ ჩვენს საერთო მთავარ დღესასწაულს, რომელიც განასახიერებს იმ დღეს, როცა რესპუბლიკას პირველად მოჰფინა ნათელი — ჟეშმარიტი თავისუფლების მზემ, როცა საქართველოს მშრომელებმა საკუთარ ხელში აიღეს ძალაუფლება და თვითონ გახდნენ მშობელი მიწის სიმდიდრეთა ბატონ-პატრონნი.

ამ დღემ — 1921 წლის 25 თებერვალმა განვითარების არნახული ხადების მე-60 წლისთავს, და დროს, თითქოს, კვლავ გადავყავართ ხალხის სასიქადულო რევოლუციურ წარსულში.

არის კაცობრიობის ისტორიაში, ჩვენს ისტორიაში მოვლენები და თარიღები, რომელთა მნიშვნელობასა და როლს ვერას აკლებს ჟამთასვლა, რომელთა მიხედვითაც ვამოწმებთ ჩვენს დღევანდელ საქმეებსა და საქციელს და რომელთა აღნიშვნით ჩვენ ერთგვარ ანგარიშს ვაბარებთ საკუთარ თავს, ვაჯამებთ განვლილი გზის შედეგებს, განვსაზღვრავთ სამერმისო ამოცანებს.

ასეთი მოვლენა, მთავარი მოვლენაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა კაცობრიობის ბედი და გადატრიალება მოახდინა საბჭოთა საქართველოში მოსახლე ხალხებს — ქართველების, ოსების, აფხაზების, რუსების, აზერბაიჯანელების, სომხების და სხვათა ისტორიულ სვე-ბედში.

„მსოფლიო ისტორიის არც ერთ მოვლენას არ მოუტანია ისეთი ღრმა, ხანგრძლივი შედეგები კაცობრიობისათვის, როგორიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოიტანა“, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. და ჩვენ მედამჟამს მივმართავთ დიდ ოქტომბერს, რათა კვლავ და კვლავ შევუჯერთო მას ჩვენი საქმენი, და ამ შეჯერებით შევაფასოთ მიღწეული, ყურადღება მივაპყროთ გადასაწყვეტ ამოცანებს, დავსახოთ მომავლის მიზნები.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში, თითოეულ რესპუბლიკაში, ყოველ მხარეში ოქტომბერი თითქოს ხელახლა გამეორდაო. ამ გამეორებაში პოვა თავისი გამოხატულება მშრომელი ხალხის უდრეკმა ნებამ, რომელსაც მუდამ ჰქონდა ბურჯად დიდი ისტორიული სიმართლე, და სწორედ ამიტომ აქვს დღეს თავისი ოქტომბერი უკრაინას და ბელორუსიას, აქვს თავისი ოქტომბერი აზერბაიჯანსა და სომხეთს.

აქვს იგი საქართველოსაც, აქვს აფხაზეთს, აჭარას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. როცა ამ თარიღებს აღვნიშნავთ, ჩვენ ასევე მივმართავთ ჩვენს სასიქადულო წარსულს, ყურადღებით ვავლებთ თვალს მის თითოეულ დღეს, ყოველ წელიწადს. და რაც უფრო მეტი გვიგროვდება ეს დღეები, ეს წლები, მით უფრო მნიშვნელოვანი და წონადი ხდება თვით იუბილეე, მით უფრო უცილობლად წარმოჩნდება განვითარების სოციალისტური გზის, იმ გზის უპირატესობანი, რომელსაც ჩვენ ვადგავართ.

ამ დღეებში ჩვენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავი აღვნიშნეთ. ეს დიდი და ნათელი დღესასწაული იყო. დღეს ასეთივე დღესასწაულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, და ჩვენ ამ დარბაზში შეგიკრიბენითო, რათა ჯეროვანი პატივი მივაგოთ იმათ, ვინც პირველმა აღმართა რევოლუციური წითელი დროშა განთავისუფლებულ მხარეში, იმათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა მხარის აყვავებას, ვინც ვაჟკაცურად იცავდა სოციალიზმის მონაპოვრებს ომის მკაცრ წლებში, ვინც მტკიცედ ამოავლებს ამ მონაპოვრებს დღეს. ამის შემდეგ დიდი ზეიმი გვექნება აფხაზეთში. მერე კი ყველანი შეიკრიბებით ჩვენს დედაქალაქ თბილისში, რათა აღვნიშნოთ საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავი.

და თუმცა 60 წლის წინათ მოვლენები სწორედ საწინააღმდეგო თანამიმდევრობით ხდებოდა, დღეს, ალბათ, უფრო ლოგიკური და მართებულია იუბილეს დღესასწაულობის სწორედ ასეთი მონაცვლეობა. მთელი ხალხის ისტორიულ სვე-ბედს ქმნის ცალკეული ადამიანების, ცალკეული ერებისა და ეროვნებების ბედი. და ამრიგად, ავტონომიების ზეიმობანი თითქოს ამზადებენ ჩვენს საერთო მთავარ დღესასწაულს, რომელიც განასახიერებს იმ დღეს, როცა რესპუბლიკას პირველად მოჰფინა ნათელი — ჟეშმარიტი თავისუფლების მზემ, როცა საქართველოს მშრომელებმა საკუთარ ხელში აიღეს ძალაუფლება და თვითონ გახდნენ მშობელი მიწის სიმდიდრეთა ბატონ-პატრონნი.

ამ დღემ — 1921 წლის 25 თებერვალმა განვითარების არნახული ერა და ეროვნებას. თუ რიგორ ისხამს ხორცს ეს პერსპექტივები, კარგად ჩანს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა მაგალითითაც.

ავიღოთ, თუნდაც, თვით ახლანდელი იუბილეე, ის, თუ რიგორ ხვდება ოლქი თავის ღირსშესანიშნავ თარიღს, როგორია ამ დღესასწაულის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები. იუბილესადმი დამოკიდებულებაც ხომ სხვადასხვაგვარია ხოლმე. ხშირად იუბილარი გულისტკივილით და სინანულით იხსენებს განვლილ წლებს, და გესმის, რომ მთელი მისი აზრები მხოლოდ წარსულს დასტიალებს, მთელი მისი გრძნობები და საქმენი ისევე მხოლოდ და მხოლოდ წარსულშია. და ნაღვაწიც, ასეთი იუბილარებს მხოლოდ და მხოლოდ წარსულში აქვთ.

ჩვენში კი სხვაგვარად არის. აი, შეგიყურებთ იმათ, ვინც დღეს აქ მოვიდა — პარტიის თმაჭაღარა ვეტერანებს, საშუალო თაობის ადამიანებს, ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას, გიყურებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ვგრძნობთ თქვენს საზეიმო მღელვარებას, ვხედავთ ხალისიან ღიმილს თქვენს ბაგეზე და ვფიქრობთ, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ახალგაზრდობა ამ ლოზუნგ როგორც ყველა წინა იუბილეე, — ეს არის ახალგაზრდობისა და ოპტიმიზმის დღესასწაული. ეს არის მთელი თავისი არსებით მერმისისაკენ მიმსწრაფი დღესასწაული.

ასეთი გრძნობა შემთხვევით როდი გვეუფლება, ადამიანთა შორისაც კი, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არიან ნამდვილი ადამიანები, მაღალი სულიერი თვისებების მქონე ადამიანები, კომუნისტები, ამ სიტყვის უზენაესი მნიშვნელობით,— ახალგაზრდობა და საბერე ნაცხოვრები წლებით არ განისაზღვრება. ხოლო როცა საქმე ეხება მთელ მხარეს, მთელ ოლქს, რესპუბლიკას, ქვეყანას, მაშინ ზემოხსენებული ფაქტორი ხდება. **ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მარად ჭაბუკნი ვართ,** რადგან არასდროს გველევა რევოლუციური ენთუზიაზმი და უდიდესი აღმშენებლობითი ენერგია. **ჩვენ მარად ჭაბუკნი ვართ,** რადგან მუდამ-ამს დიდი სამქმენი მოგველის. **ჩვენ მარად ჭაბუკნი ვართ,** რადგან გრანდიოზული გეგმები გვიძევს, და რამდენიც უნდა გავაკეთოთ, ვიცით, რომ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვან მიღწევებს მოვიპოვებთ.

დღეს ჩვენი გეგმები და ჩვენი სამქმენი უდიდესი თეორიული დასაბუთებითა და მეცნიერული სიღრმით განსაზღვრა პარტიის XXVI ყრილობამ. „დიდებულია ჩვენი მიზანი — კომუნიზმი, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. —და ყოველი შრომითი წარმატება, საგმირო საქმეთა ყოველი წელი, ყოველი ხუთწლედი გვაახლოებს ამ მიზანთან. ამ თვალსაზრისით აფასებს პარტია მომავალ ხუთწლეულსაც. ბევრი საქმე მოგველის, დიდია, რთულია გადასაწყვეტი ამოცანები. მაგრამ ჩვენ გადავწყვეტთ მათ, და გადავწყვეტთ ფუცილებლად“.

დიახ, ჩვენ ხელგვეწიფება ყოველგვარი მიღწევები, რადგან ასეთია ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესი, მისი კანონები კი **უკვე მეშვიდე ათწლეულია ცხოვრობენ საბჭოთა ადამიანები. აი უკვე 60 წელია ამ დიადი კანონის მიხედვით ცხოვრობენ საბჭოთა სახმრეთ ოსეთის მშრომელები.** წარსული მატებს მათ ძალასა და თავიანთი ისტორიული სიმართლის რწმენას. უფრო მტკიცედ და უკეთ, რევოლუციური გაქანებით ამენებენ ისინი თავიანთ დღევანდელობას და ამით მკვიდრ საფუძველს უქმნიან მომავალ აღმფრენას.

წარსულს რომ გავაქვირით, ვიდვაროთ დღევანდელ საქმეთა გადასაწყვეტად და ვიზრუნოთ მერმისისათვის — ეს დინამიკური ფორმულა წარმოშვა მთელი 60 წლის გზის მანძილზე ჩვენი მიღწევების ლოგიკამ. მან საბჭოთა ადამიანების ყოველ თაობას შესაძლებლობა მისცა სწორად განესაზღვრა თავისი ადგილი დიდ აღმშენებლობითს მუშაობაში, სწორად შეეგრძნო დროების სულისკვეთება და მოთხოვნები. ეს ფორმულა განასახიერებს ჩვენი თაობების უდიდეს ემოციურობითობას, რომელიც, რაც უნდა მოხდეს, გვაგვენებინებს გზას, მუდამ გვეხმარება უმოკლესი გზით მივაღწიოთ დასახულ მიზანს, შესაძლებლობას გვაძლევს ყოველ ეტაპზე მივაგზნოთ საუკეთესო ტრადიციებს, საუკეთესო ტენდენციებს, განვავითაროთ ისინი.

ოსი ხალხის სახელოვანი წარსული, მისი განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალები, ის მკვიდრი და ჯანსაღი ფესვები, რომლებიც იგი მტკიცედ შეეზარდა ქართველ მთებს, სიმტკიცეს და რწმენას მატებდა საუკეთესო ოს მამულიშვილებს — რევოლუციის მგზნებარე მებრძოლებს. ისინი ხედავდნენ, როგორ გამოატარა საუკუნეთა მძიმე განსაცდელისა და უბედობის ქარცეცხლში ოსმა ხალხმა თავისი საუკეთესო თვისებები — უდიდესი შრომისმოყვარეობა და უაღრესი ერთგულება მეგობრობაში, ვაჟკაცობა და სიმტკიცე, დაუოკებელი ლტოლვა ყოველივე ნათლისა და კეთილისადმი, უდიდესი თავისუფლებისმოყვარეობა. მათ ღრმად სწმიდათ მხარის ყველა შრომელის მომავალი და მტკიცედ მიუძღოდნენ მასებს. მათ უსაზღვროდ უყვარდათ სიცოცხლე, და სწორედ ამიტომ, როცა ამას ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვდა, უყოყმანოდ სწირავდნენ მას ხალხის ბედნიერების გულისათვის.

ბედნიერი მომავლის იმედი ძალასა და ვაჟკაცობას მატებდა თვითმპყრობელობისა და კლასობრივი მტრების წინააღმდეგ მგზნებარე ინტერნაციონალისტ მებრძოლებს სერგი გაგლოევს, ვლადიმერ სანაკოევს, სიკო „და დავით ალიმბარაშვილებს, შაქრო ვალიევს, სამსონ სანაკოევს, გაიოზ დევდარიანს, ალექსანდრე ჯატიევს, არონ პლიევს, ვასილ პეტრიაშვილს, ნიკოლოზ გადიევს, მიხეილ პაპუნაშვილს, ზიკა გასიევს, ანტონ დრიაევს, დავით ციბიკაძეს, ვასილ ხუბაევს, ივანე ხუგაევსა და სხვებს. მათ უანგაროდ იღეს კისრად იმ მძიმე სამუშაოს ტვირთი, რომელიც წოლად ხვდა მათს თაობას. მხარის განთავისუფლებისათვის ბრძოლას უკავშირდება ისეთი გამოჩენილი ბოლშევიკი ლენინელების სახელები, როგორიც იყვნენ სერგო ორჯონიკიძე, მიხეილ ლევანდოვსკი, მიხა ცხაკაია, სერგი კიროვი, ლადო კეცხოველი, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე გეგეჭკორი, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა და სხვები.

რუსი, ქართველი, ოსი ხალხების, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ეროსა და ეროვნების წარმომადგენლების ღვიძლი ძმობა, რომელსაც შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვი, კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა ერთობლივ ბრძოლაში, ახალი ცხოვრების ერთობლივ მშენებლობაში. იგი გადაიქცა საკვირველ შენადნობად, რომელიც თავისი სიმტკიცით ტოლს არ უდებს ალმასს, ხოლო სილამაზით ალმასზე უფრო მშვენიერიც არის.

„დღეს თავისუფლებისმოყვარე ოსი ხალხი... უაღრესად მჭიდროდ, ძმურად არის გაერთიანებული მუშურ-გლეხურ საქართველოსთან. როგორ ეხმიანება, ამხანაგებო, ეს სიტყვები დღევანდელობას! ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს სერგო ორჯონიკიძის ამ სიტყვებს სულ არ გვამორებდეს ათწლეულები, თითქოს მას ეს სიტყვები აქ, ჩვენს საზეიმო სხდომაზე ეთქვას. ისინი დღეს ახლოველი და გასაგებია ყოველი ოსისა და ყოველი ქართველისათვის, ისინი გასაგებია ნებისმიერი ეროვნების ადამიანებისათვის, იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ერთ მეგობრულ და ძმურ ოჯახად ვცხოვრობთ. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, დრო არასოდეს არ არის ერთგვარმნიშვნელობიანი, **უსაზღვროდ შორეულად** გვეჩვენება რევოლუციური წლები, როცა ამ წლებამდე მანძილის გასაზომად ვიყენებთ იმის მასშტაბს, რაც გაგვიკეთებია, აგვიშენებია, ჩამოგვიყალიბებია. და ამავე დროს უნებლიეთ ვფიქრობთ: ნუთუ მხოლოდ 60 წელი გავიდა, ნუთუ ამ 60 წელმა დაიტია ასე ბევრი რამ, ამდენი მოვლენა, ამდენი მიღწევები და გრძნობები? ასეთი გაქანება საუკუნეთა სადარია. **უსაზღვროდ ახლოხლად** გვესახება ჩვენი რევოლუცია, როდესაც იარაღად ვხმარობთ მის პოლიტიკურ და ზნეობრივ ღირებულებებს, როცა ვავითარებთ იდეებს, ამ რევოლუციამ რომ შეა. ეს იდეები ორგანულად გაგვიჯდა სისხლსა და ხორცში. ამ იდეებით ჩვენ ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს ვხელმძღვანელობთ.

და მუდამ-ამს, როცა წარსულს მივმართავთ, ვაანალიზებთ მას ახლად მოპოვებული გამოცდილების მწვერვალებიდან, ჩვენ ვამბობთ: დიდმა ლენინმა და ოქტომბრის რევოლუციამ სწორად დაგვისახა მომავლის გზა; ვამბობთ: **ჩვენი კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, პირადად ჩვენი დიდი მეგობარი, ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი — თანამედროვე ეპოქაში ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის საქმის/გამოჩენილი განმგრძობი მტკიცედ ადგანან ამ ლენინურ გზას, წმიდად ინახავენ დიად ლენინურ ტრადიციებს, თანამიმდევრულად ამკვიდრებენ და ავითარებენ მუშაობის ლენინურ სტილს, ლენინურ პრინციპებს.** ეს ყველა ჩვენი გამარჯვების, ყველა ჩვენი წარმატების საფუძველია.

რევოლუციის გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა იმ თაობის წარმომადგენლებს, რომელსაც დრომ დააკისრა ბნელი მისია — უზრუნველეყო ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობა **სოციალიზმის მშენებლობის პირველ წლებში.** ხოლო მომავლის მტკიცე რწმენა, უმძიმეს პირობებშიც კი, მათ ძალასა და ოპტიმიზმს მატებდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხარემ საერთოდ არ იცოდა, რა იყო სამრეწველო წარმოება, გლეხები დიდ სიდუხჭირეს განიცდიდნენ მეცირემიწიანობის გამო, მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი უწიგნერი იყო. მაგრამ უკვე მაშინ პატრიარქალური ჩამორჩენილობის პირობებში გამოიკვეთა დღევანდელობის ნთელი კონტურები.

მოკლე ხნის მანძილზე ავტონომიურ ოლქში შეიქმნა სოციალისტური მრეწველობა, აშენდა პირველი ელექტროსადგურები. ასე ისნამდა ხორცს მომავალი კოლეგიტული ყოველდღიური საქმეები. 1940 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოებულ მთლიან პროდუქტში 36 პროცენტს გადაამეტა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ვიზიტად მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 12 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დენი სასუ-ნგესო, რომელიც პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას მეთაურობს.

აეროდრომზე დ. სასუ-ნგესოს, დელეგაციის წევრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე დახვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ბოძმე საქართველოს იუბილეს აღსანიშნავად

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“

საბჭოთა საქართველოს იუბილე, ნათქვამია დადგენილებაში, — ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა საქართველოს მშრომელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებაში. განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვს საქართველოს სს რესპუბლიკას მეათე ხუთწლედში, რომელიც აღინიშნა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვ

ოქტომბრის დროშით, აღმშენებლობის მწვერვალებისაკენ!

(დასასრული)

ხორცი შეესხა ლენინურ კოოპერაციულ გეგმას და ოლქი თანდათანობით გახდა რესპუბლიკის ხილის დიდი მომწოდებელი. აშრიალდა მისი ბაღები, სწრაფად იწყეს განვითარება მეცხოველეობამ, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებმა.

შვებით ამოისუნთქა ხალხმა, რომელმაც თავისი ბედი კომუნიზმის ნათელი შენობის მშენებლობის საქმეს დაუკავშირა. განუხრელად ვითარდებოდა მისი კულტურა. საფუძველი ჩაეყარა ახალ სოციალისტურ მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, აღიზარდნენ სპეციალისტთა ეროვნული კადრები, რომლებმაც ფართო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გაიჩაღეს.

ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით უკვე მესამე საწლეულის დამლევისათვის გახსნილი 350-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, შეიქმნა პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ტექნიკუმები, სამხატვრო, სამუსიკო და პედაგოგიური სასწავლებლები, კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი გახდა სახელმწიფო დრამატული თეატრი ოსური და ქართული დასებითურთ.

საბჭოთა ადამიანებს აღმშენებლობითი შრომა შეაწყვეტინა ომმა, და ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის იდეები გახდა ის უშრეტი წყარო, რომელიც ჩვენს ხალხს მატებდა ვაჟკაცობას და მამაცობას, აძლებინებდა ჰიტლერულ ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში. თავიანთი წარსულის, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის მტკიცე გადაწყვეტილებით, მომავალი გამარჯვების იმედითა და რწმენით ებრძოდნენ ბრძოლაში მეომრები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები და მათთან ერთად ღირსეულად იბრძოდნენ, საგმირო საქმეებით ასახელებდნენ თავიანთ მამა-პაპას ოსი მამულიშვილები. დიდი სამამულო ომის შესანიშნავი ეპიზოდები დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის გმირების ვასილ ჩოჩიევის, სერგი კობლოვის, გიორგი ბეროაშვილის, კოსტა კოჩიევის, სარდიონ კოზონოვის, ალექსი ოსტაევის, ივანე ცხოვრებოვის, გრიგოლ საბანოვისა და სხვათა სახელებთან.

არადა, კიდევ რამდენი სახელოვანი მამულიშვილი წარმოაჩინა ამ მკაცრმა წლებმა! ახლა, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისთვის ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირი უშვებს წიგნს. მასში არის მწერალ რევაზ ასაევის პატარა ნარკვევი, რომელიც მფრნავ ალიბეკ სლანოვის ვაჟკაცობაზე გვიამბობს. სლანოვმა საფრთხეში ჩაიგდო საკუთარი სიცოცხლე, ტყვიის წვიმაში მტრის ტერიტორიაზე დასვა თვითმფრინავი და ფაშისტებს ხელოდან გამოსტაცა თავისი მეთაური ნიკოლოზ სვიტენკო, რომლის მანქანას ეეცხლი გასჩენოდა.

აი დიდი სამამულო ომის დამახასიათებელი ეპიზოდი, დამახასიათებელი სწორედ თავისი განსაკუთრებულობით. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ეს ამბავი რევაზ ასაევს შეატყობინა გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა, რომელიც მუდამ იყო ჩვენი რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების კულტურის მოოვაწეთა დიდი მეგობარი. რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ტიხონოვმა იცოდა, რომ თვით რევაზ ასაევიც ომის მონაწილეა და მას არ შეიძლება არ აღელვებდეს ომის თემა, განსაკუთრებით ის, რაც ძის თანამემამულეთა საგმირო საქმეებთან არის დაკავშირებული.

ყველა ხალხის წარმომადგენლების ვაჟკაცობის, და საბრძოლო ძმობის ასიათასობით მკაფიო მაგალითით არის ნაქსოვი სამამულო ომში გამარჯვების დიადი ტილო. ჩვენ ვამბობთ: არაფერი და არავინ არ არის დავიწყებული, ვამბობთ და ყოველწლიურად აღვნიშნავთ გამარჯვების დღესასწაულს, ომის წლებში საბჭოთა ადამიანების უმაგალითო გმირობის მადლიერი სახალხო ხსოვნის დღესასწაულს. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენ იგი 36-ჯერ აღვნიშნეთ და მთელმა ქვეყანამ წუთიერი დუმილით სცა პატივი დაღუპულ გმირთა ნათელ ხსოვნას.

ჩვენ მივმართავთ დიდი სამამულო ომის გამოცდილებას, რათა კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდეთ იმ ფასის განუზომლობას, რომელიც გავიღეთ პლანეტაზე მშვიდობის დასამკვიდრებლად, რათა კიდევ უფრო თანამიმდევრულად და შეუპოვრად განვამტკიცებდეთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, ვიცავდეთ ჩვენი დედების, ცოლ-შვილის მშვიდობიან მომავალს. და ჩვენი ქვეყნის თითოეულ რეგიონს, მის მოსახლე ყოველ ხალხს თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ამ დიად მუშაობაში.

სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის კურსის მიზანია თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდა და ამავე დროს მაქსიმალური გამოყენება მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ, ჩვენი რესპუბლიკის შესახებ პარტიისა და მთავრობის იმ მთელ რიგ ფუნდამენტურ დადგენილებათა შემდეგ, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით იქნა მიღებული, წლითიწლობით იზრდება საბჭოთა საქართველოს წვლილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. და ამისათვის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას მაღალი შეფასება მიეცა ყრილობაზე. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ განუხრელად მაღლდება ეკონომიკური პოტენციალი, ვითარდება საწარმოო ძალები საქართველოს ყველა რეგიონში. მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში. ოლქის მშრომელები საგრძნობ როლს ასრულებენ საბჭოთა საქართველოს ყველა მიღწევაში, და ეს, უწინარეს ყოვლისა, საოლქო პარტიული ორგანიზაციის კომუნისტთა დამსახურებაა.

დღეს თქვენი პარტიული ორგანიზაცია წარმატებით ავითარებს მდიდარ რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს. ამ ბოლო წლებში მან აიმაღლა ბრძოლისუნარიანობა, გონივრულად წარმართავს მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას. პარტიის საოლქო კომიტეტი, საოლქო კომიტეტის ბიუროა ამხ. ფ. ს. სანაკოევის მეთაურობით, სხვა ამხანაგები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით გადაწყვეტონ ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების რთული და პასუხსაგები ამოცანები.

ჩვენს წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელოვან **მუშაათა კლასს.** 1972 წელთან, იმ წელთან შედარებით, როცა მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ორჯერ გაიზარდა. დღეს აქ უშვებენ ელექტროტექნიკურ მოწყობილობას და მანქანებს, ფერადი მეტალურგიისა და ხის ნაწარმს, საშენ მასალებს და დიდძალ სხვა პროდუქციას. ოლქი თავის სამრეწველო პროდუქციას გზავნის ქვეყნის 200 ქალაქში, აგრეთვე საზღვარგარეთ. რესპუბლიკისათვის უნიკალურ ნაწარმს უშვებენ ცხინვალის ქარხანები „ელექტროვიბრომანქანა“ და „ემალსადენი“. ამ შრომითს კოლექტივებში უკანასკნელ ხანს იშვა ბევრი ახალი, საყურადღებო ინიციატივა.

დიდად იცვალა სახე თვით ავტონომიურმა ოლქმაც, და. ამ ცვლილებების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი გახდა კაპიტალური მშენებლობის ფართოვ გაქანება. თუ შედარებისათვის ავიღებთ იგივე 1972 წელს, ვნახავთ, რომ კაპიტალური დაბანდების მოცულობა გაზრდილია 2,5-ჯერ, ხოლო საექსპლოატაციოდ გადაცემული ბინების ფართობი — 6-ჯერ. პრაქტიკულად ხელახლა აშენდა ხე-ტყის კომბინატი, რომელიც ახალი საამქროს ამოქმედების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის დიდი საწარმო გახდა, საექსპლოატაციოდ გადაეცა კვაისის მამდიდრებელი ფაბრიკა. ვგონებ, ჩვენ პარტიის საოლქო კომიტეტთან ერთად სრულიად სამართლიანად გადავწყვეტეთ განგვეთარებინა წარმოების სწორედ პროგრესული დარგები.

დამკვრელური ტემპით შენდება ტრანსკავკასიის საავტომობილო მაგისტრალი — გზა, რომელსაც დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა ყველა დიდმნიშვნელოვან თარიღს შრომითი ნობათითი შეეგებოთ ხოლმე. გამონაკლისი არც ახლანდელი იუბილე გახლავთ. დღეს დილიდან ჩვენ უკვე ვიყავით ორ ობიექტზე — ზონკარის წყალსაცავზე და ტრიკოტაჟის საცვლების ახალ ფაბრიკაში. ზონკარის წყალსაცავი — ეს, რა თქმა უნდა, თვალწარმტაცი სანახაობაა. მაგრამ არანაკლებ თვალწარმტაცია შესაძლებლობანი, რომლებსაც იგი უსახავს ავტონომიური ოლქისა და მთელი ქართლის ზონის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ზაფხულობით აქაური წყალი დაახლოებით 70 ათას ჰექტარ მიწას მორწყავს. რაც შეეხება ფაბრიკას, იგი ქვეყნის განსაკუთრებით. მნიშვნელოვან მშენებლობათა რიცხვში შედის.

ყველა ჩვენს მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მშრომელები, მისი გამრჯე **კოლმეურნე ვლეხობა.** მეათე ხუთწლედის წლებში ოლქმა აწარმოვა და სახელმწიფოს მიჰყიდა რეკორდული რაოდენობის მარცვლეული, ხილი, ხორცი რძე, კვერცხი. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გადიდდა თითქმის 1,3-ჯერ, ხოლო 1972 წელთან შედარებით—1,7-ჯერ. შეიქმნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სასუქებელი, საკვების საწარმოო სამეურნეოებათაშორისო გაერთიანებანი. თანამიმდევრულად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეოებათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე.

მხარის ეკონომიკის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ეს დადგენილება იქცა იმ საფუძვლად, რომელზეც კიდევ უფრო ძალუმად და მკაფიოდ ვლინდება მშრომელთა ენთუზიაზმი, მიზანსწრაფვა, თავდადება. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ძალზე მკაცრად და ძალზე ყურადღებით ვადევნებთ თვალს ამ დადგენილების თითოეული პუნქტის შესრულებას. მისი რეალიზაციისათვის უშუალოდ აგებს პასუხს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე.

თქვენი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებზე ჩვენ უკვე გვისაუბრია, და — არაერთგზის, კერძოდ, ამ დარბაზშიც. დღეს აღარ მოვყვები მათს დეტალურ გაშუქებას, მაგრამ ცალკეულ მიმართებას გვერდს ვერ ავუვლიან.

უწინარეს ყოვლისა, მინდა შეგახსენოთ, რომ ახლო წარსულში დაშვებული შეცდომების შედეგად ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი კარგა ხანს ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ამიტომ უკანასკნელი წლების ნახტომი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველა ამოცანა წარმატებით გადაგვეწყვიტოს. ბაზა იმდენად დაბალი იყო, რომ დღესდღეობით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ დონეს, რომ აღარფერი ვთქვათ საუკეთესო მაჩვენებლებზე, მაგალითად, ახლა ავტონომიურ ოლქში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გამოდის ორჯერ ნაკლები სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

აი, რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად უჭერენ მხარს საოლქო პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობას, რომლის მიზანია აამაღლოს საზოგადოებრივი შრომის ეფექტიანობა, ჩააბას მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა საზოგადოებრივ წარმოებაში და შეჩერდეს მიგრაციის პროცესი. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ამ თვალსაზრისით დაგესახათ დადებითი ტენდენციები. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, ნათლად გვქონდეს შეგნებული, რომ **მაღალნაყოფიერი შრომა საზოგადოების ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ძირითადი, მე ვიტყოდი, ერთადერთი წყაროა.** ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი, სტატეგიული ამოცანა, და ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხის ეთიკლდღეობის გაუმჯობესება, კულტურის დონის ამაღლება. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებამ სასიკეთო გავლენა მოახდინა ამ სფეროზეც.

ცხინვალში შემოსვლისას ჩვენ ყურადღება შევიქციეთ იმას, რომ ქალაქის ფონს კარგად ერწყმის ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონები. არადა, ეს უბნები მეათე ხუთწლეულში გაჩნდა. ჯავაში შენდება თანამედროვე სანატორიუმის კორპუსი. ოლქის კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი შენობის საძირკვლის ჩაყრა, გადაწყდა სახელმწიფო მუზეუმის შენობის აგების საკითხი, განხილვის პროცესშია ბევრი სხვა საკითხი.

დღეკანდელი იუბილესათვის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ნორჩ ნატურალისტთა სადგური. ეს კარგი საჩუქარია.

საიუბილეო წელს გაიხსნება აგრეთვე საკონცერტო დარბაზი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ახალი შენობა, საბავშვო ბაღები და ა. შ.

განუხრელად ვითარდება სულიერი კულტურა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ **ოსურ კულტურას, ოსურ ენას** — ხალხის ამ საკვირველ ფენომენებს — ეროვნებით ქართველი ხელმძღვანელები და საზოგადო მოღვაწენი უნდა ეკიდებოდნენ ისეთივე პასუხისმგებლობითა და ღრუდუნებით, როგორც ედიანას და რუსულ ენას — დიდი ლენინის ენას.

უმჯობესდება ოსური ენის სწავლება ოლქის სკოლებში. გაიზარდა მეთოდიკური ლიტერატურის რაოდენობა, ამაღლდა მისი დონე. თქვენ იცით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო მშობლიური ენების, მათ შორის, ოსური ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. უაღრესად დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ უკვე გამოსაცემად მომზადდა ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომი. გამოვიდა ოსური ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი, დამუშავების პროცესშია ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი ქვლევა.

ოსი ხალხის სულიერი აზროვნების უმდიდრეს საგანძურში, მის საოცრად შთამბეჭდავ შემოქმედებაში პოვებენ მთავრობის წყვრთს საბჭოთა სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რომლებიც ღირსეულად წარმომადგენლობენ მის **სახალხო ინტელიგენციას.**

ავტონომიური ოლქის მწერლები და პოეტები, კულტურის მოღვაწენი წარმატებით ავითარებენ თანამედროვე ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის კოსტა ხეთაგუროვის — რევოლუციონერი დემოკრატის, თავისი ხალხის აზრებისა და გრძნობების მესიდღემლის მდიდარ შემოქმედებითს ტრადიციებს. დღეს ახლებური ელფერდობა მიენიჭა თავისუფლების, სამართლიანობის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ჰუმანისტურ იდეალებს, რომელებსაც მგოსანი უმღეროდა. დიდი შემოქმედებით და პირადი მეგობრობა აკავშირებდა კოსტა ხეთაგუროვს ალექსანდრე ყაზბეგთან, დიმიტრი არაყიშვილთან, ქართული კულტურის სხვა მოწინავე მოღვაწეებთან. და ეს ფასდაუდებელი მემკვიდრეობა კიდევ უფრო მეტად გამდიდრდა ახლა, როცა ნიადაგ ყალიბდება საბჭოთა ხალხის ერთიანი მრავალეროვნული კულტურა.

დღეს მის საგანძურს ამშვენებს ოსური ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. მათ წარმატებით უწევს პროპაგანდას სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“, რომლის ხელოვნებას „კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში და საზღვარგარეთ.

ოსი ხალხის ბრძნული წარსული, რომელიც ჩვენი სოციალისტური დროების სულის ყვეთებამ გაამდიდრა, შესანიშნავ აღმონაცენს იძლევა. იქმნება ნაწარმოებები, რომლებშიც თავისთავადი ოსური ეპოსის პოეტური პალიტრა უკეთ წარმოაჩენს აზრებსა და გრძნობებს, ჩვენს თანამედროვეებს რომ აღელვებს.

ისეთ ავტორებს, როგორიც არიან თეოდორე გაგლოევი (ჰაფეზი) გიორგი ძუგაევი, ნაფი ჯუსოითი, ჰაჯი მურატ ძუდაატი, კოსტა მარგიევი, რევაზ ასაევი, კარგად იცნობს ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი მკითხველი. მათი ნაწარმოებები სხვა ენებზეც ითარგმნა.

ფართოდ არის ცნობილი საქართველოს სახალხო მხატვრის ბორის სანაკოევისა და სხვა ფუნჯის ოსტატთა ნამუშევრები. გვახარებს ავტონომიური ოლქის შემოქმედი ინტელიგენციის ახალგაზრდა პლეადის წარმატებები. ნიჭიერ ფერმწერს ირბეგ აღბორტის ამ ცოტა ხნის წინათ მიენიჭა პრემია „ხუთწლედის მატიანე“. მუსიკის მოყვარულთა შორის პოპულარულია ახალგაზრდა კომპოზიტორების ივანა პლიევასა და ფელიქს ალბოროვის ნაწარმოებები. წარმატებით მუშაობენ ავტონომიურ ოლქში ქართული შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საუკეთესო ნაწარმოებების პოპულარობის მთავარი საიდუმლოა მათი ჭეშმარიტი ხალხურობა, ღრმა პარტიულობა, კონკრეტული სოციალური მიმართულება. ისინი აქტიურად ემსახურებიან მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

ლიტერატურისა და ხელოვნების აქტიალობის ამაღლებას, ცხოვრებასთან მათს დაკავშირებას ჩვენ უშუალოდ ვუკავშირებთ იმას, რომ უკანასკნელ ხანს საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა ყურადღება იდეოლოგიის სფეროსადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოწონებით ეკიდება იმ სწორ ღონისძიებებს, რომლებსაც სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, საოლქო აღმასკომი ახორციელებენ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გასაუმჯობესებლად.

უფრო პრინციპული გახდა ნეგატიური მოვლენებისა და კომუნისტური მორალის ნორმებისაგან გადახვევების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლა. თუმცა ეს მუშაობა კიდევ უფრო ფართოდ, კიდევ უფრო თანამიმდევრულად და მტკიცედ უნდა ვაწარმოოთ.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებამ ხელი შეუწყო ადამიანთა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტთა შრომითი, პოლიტიკური და ზნეობრივი აქტიურობის მკვეთრ ამაღლებას. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ყოველი ხუთწლედი თავის გმირებს წარმოშობს. მეათე ხუთწლედმა წარმოაჩინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა ღირსეული წარმომადგენლების ახალი პლეადა, გვაუწყა ბევრი ახალი სახელი.

ალიხან ხუგაევი და ყაზბეგ ქელეხსაევი, სულკო პლიევი და მზია ზეანაშვილი, ავალე ნანიევი და დუსია ელოევა. პეტრე ტოტოვი და გიორგი დათაშვილი, აზა სანაკოევა და როინ ჭოჭაშვაძე, კვაისელი მეშახტეები და ცხინვალის საწარმოთა მუშები, კოლმეურნეები, მექანიზატორები, მეცხოველეები. ჩვენ ყველანი ამაყოფილნი ვამაყობთ არქტიკის ლეგენდარული დამპყრობით, ჩვენი დღევანდელი საპატიო სტუმრით იური კუჩიევით. **ესენი არიან** მაღალი მოვალეობის ადამიანები, ისინი, ვის შესახებაც ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე თქვა: „საბჭოთა ადამიანი — ეს არის კეთილსინდისიერი მშრომელი, მაღალი პოლიტიკური კულტურის ადამიანი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. იგი აღზარდეს პარტიამ, ქვეყნის გმირულმა ისტორიამ, მთელმა ჩვენმა წყობილებამ. იგი ახალი სამყაროს შემოქმედის მჩქეფარე სიცოცხლით ცხოვრობს“.

ესენი არიან ადამიანები, რომლებიც დღეს ტონს აძლევენ რესპუბლიკის მშრომელებს, აქცევდრებენ თავიანთი ქცევით, ცხოვრებისადმი თავიანთი დამოკიდებულებით, თავიანთი გარჯით სამართლის, პატიოსნების, სამართლიანობის, პრინციპულობის წმიდათაწმიდა იდეალებს.

ესენი არიან ადამიანები, რომლებიც საქმით ადასტურებენ ლ. ი. ბრეჟნევის იმ აზრს, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომა, ნამდვილი მამულიშვილობა, იდეურ-ზნეობრივი თვისებები განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას და პრესტიჟს. ისინი წინა თაობებისაგან ისისხლხორცებენ ყოველივე საუკეთესოსა და კარგს, ამდიდრებენ ამ საუკეთესოს თავიანთი მაგალითით და მემკვიდრეობად გადასცემენ მომდევნო თაობებს.

ასეთი ადამიანები მრავალად ჰყავს თქვენს ტერფა მხარეს. **მათზე, წარსულზე დაყრდნობით, მათს მომავალზე ფიქრით სჭედს იგი თავის ბედნიერ დღევანდელობასა და მერმეს.**

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, ყველა შრომელის სახელით მივულოცო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომელებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მე-60 წლისთავი, გისურვოთ თქვენ, საბჭოთა ამხანაგებო ყოველივე საუკეთესო, ყოველივე კარგი, სიხარული და სიხალისე ცხოვრებაში, წარმატება შრომაში, ბედნიერება და მშვიდობიანი ულრტანი ცა.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ ოსეთს!

გაუმარჯოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშაათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას!

დიდება ლენინურ საბჭოთა კავშრის კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტსა და მის მეთაურს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

✦ ✦

მოხსენება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელოვანი 60 წლის თავის შესახებ გააკეთა ფ. ს. სანაკოევმა.

— ჩვენი საყვარელი და მშვენიერი მხარის იუბილე, — თქვა მან,— მართლაცდა საყოველთაოსახალხო დღესასწაულია, რომლითაც აღვნიშნავთ ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალში, ჩვენს სოციალურ და ეროვნულ ისტორიაში მომხდარი დიდი გარდატეხის ხანას, ყველა წინა თაობის საუკუნოვანი ოცნების —სამართლიანობაზეზე, ხალხთა ძმობაზე, თავისუფლებაზე, თანასწორუფლებიანობაზე ოცნების გამარჯვების ხანას.

და ამ დღესასწაულს ვზეიმობთ იმ დღეებში, როცა დიდი საბჭოთა ხალხი ენთუზიაზმით შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXVI ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული გეგმების განხორციელებას.

აღნიშნა რა ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი წარმატებანი ემყარება კაცობრიობის ერთადერთი სწორი, ყველაზე ჰუმანური სულიერი იარაღის — მარქსიზმ-ლენინიზმ ი ს იდეების გამარჯვებას. სწორედ ამ იდეებმა, რომლებიც მატერიალურ ძალად იქცენ, მისცეს ქვეყნის მშრომელებს შესაძლებლობა დიდი ლენინის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში სრული გამარჯვება მოეპოვებინათ რუსეთის თვითმპყრობელობაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა მთელ ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისათვის. და ამ დროიდან ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საქართველო ო ზ მცხოვრებმა სხვა ხალხებმა, დაიწყო თავისი ისტორიული განვითარების ახალი ხანა— თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული შემოქმედების ეპოქა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზუსტად ერთი წლის შემდეგ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით შეიქმნა საბჭოთა ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სწორედ ამ ყველა ჩვენთაგანისათვის დაუვიწყარ დღეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა პირველად თავიანთ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მიიღეს ეროვნული ავტონომია. რუსი, ქართველი და საბჭოეთის სხვა მოძმე ხალხების უანგარო დახმარებით 60 წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთი ჩამორჩენილი მხარიდან გადაიქცა მთლიანი წიგნიერების, თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის, განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ოლქად.

კომუნისტური იდეალებისადმი, ძმობისა და თავისუფლების იდეებისადმი ერთგულებით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების უფლება, მოიპოვა იგი ძმრიულ რევოლუციურ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აჯანყებებსა და მრავალრიცხოვან ბრძოლებში დაღუპული ბევრი საუკეთესო შვილის სიცოცხლის ფასად.

და ჩვენ სიამაყით ვიხსენებთ ამას როგორც იმ რევოლუციური თაობის მადლიერი შთამომავალნი.

ჩვენი წმინდათაწმინდა მოვალეობაა ყოველთვის გვახსოვდეს ეს, რადგან ხალხის გმირული რევოლუციური წარსული ხსოვნას დიდი იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. არ გვახსოვდეს ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ ვერ გავიგოთ საბჭოთა სამოკავშირეოს მახეილზე ჩვენი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში მომხდარი ძირეული გარდაქმნების აზრი და მნიშვნელობა. მეცნ რესპუბლიკისა და, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ცხოვრებაში ეჭეშმარიტად ახალი ისტორიული ნიშნსვეტი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ამ პარტიული დოკუმენტის მიღების შემდეგ განვლილი პერიოდი, დოკუმენტისა, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეეფასოსოთ, გახდა საოლქო პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტებისა, ყველა შრომელის სიმწიფის გამოცდის, მათი ბრძოლისუნარიანობის დათვალიერების პერიოდი, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების პერიოდი.

ეს იყო ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების, მისი სახალხო მეურნეობის აღმავლობის პერიოდი.

1973 წლიდან განვლილ პერიოდს ახასიათებს მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის განვითარების დაჩქარებული ტემპი.

ოლქი, სადაც ომის წინ მხოლოდ რამდენიმე ნახევრად შინამრეწველური საწარმო იყო, ამჟამად წარმოდგენილია მრავალდარგოვანი დინამიკურად განვითარებული მრეწველობით. მარტო 1980 წელს ოლქმა აწარმოვა დაახლოებით 85 მილიონი მანეთის სამოცი დასახელების სამრეწველო პროდუქცია, რაც 45-ჯერ აღემატება 1936 წლის მაჩვენებელს.

უკანასკნელ 8 წელიწადში განსაკუთრებით ფართო გაქანება პოვა კაპიტალურმა მშენებლობამ. ამ პერიოდში ათვისებულია 57 მილიონი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდებანი, ვიდრე განვლილ 13 წელიწადში. მარტო 1980 წელს ათვისებულია 2,5-ჯერ მეტი კაპიტალური დაბანდებანი, ვიდრე 1972 წელს.

იმავე პერიოდში მწყობრში ჩადგა თითქმის ოთხჯერ მეტი საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდები.

მარტო მეათე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა: მინერალური წყლის „ბაგიათას“ ჩამოსასხმელი ქარხანა. ხე-ტყის კომბინატის ავეჯის ახალი საამქრო, კვაისის მაღაროთსამმართველოს მამდიდრებელი ფაბრიკა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსი ცხინვალის რაიონში და სარძეო კომპლექსი ზნაურის რაიონში, ვარიანცხინვალის წყალსადენი, 300-ადგილიანი სომატური საავადმყოფო, ორი ტურისტული ბაზა 250 ტურისტისათვის თითოეული, 200-ადგილიანი სასტუმრო ცხინვალში; სატელეფონო სადგურებს შეემატა 2500 ნომერი, აშენდა განათლების, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი რიგი ობიექტები.

არნახული ტემპით ვითარდება საბინაო მშენებლობა. საკმარისია ვთქვათ, რომ მარტო მეათე ხუთწლედში სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრებით თითქმის ორჯერ მეტი ბინა აშენდა, ვიდრე მეშვიდე, მერვე და მეცხრე ხუთწლედებში ერთად.

მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის წარმოება და დამზადება საზოგადოებრივ სექტორში 1980 წელს 1972 წელთან შედარებით გაიზარდა: ხორცისა — 832 ტონით, რძისა — 3221 ტონით, კვერცხისა — 4,8 მილი

მარად ცოცხალი

12 მაისს, სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის დღესასწაულობის დღეს, ცხინვალში ლენინის მოედანზე შეიკრიბნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიისა და კომკავშირის, სამოქალაქო ომის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

დგება საზეიმო წუთი. ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე და ზ. ა. პატარაძე მონუმენტის კვარცხლბეკს ამკობენ გვირგვინით, რომლის ალისფერ ლენტზე წერია: „ვ. ი. ლენინს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან“.

მონუმენტი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს კომპარტიის სარეგიონო ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს სახელით.

ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ და ზ. ა. პატარაძემ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებმა, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ხსოვნას. (საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები • გამოხმაურება

დარბაზობა

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა მოაწყვეს დარბაზობა სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. მ. ბუტბა, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ხ. ჩელდიევი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. შ. ენდელაძე, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ა. ხ. ჩელდიევს, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანს ბ. ზ. მაყაშვილს, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. პ. აბრამიშვილი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შ. კაბულოვი, ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საიუბილეო ზეიმზე სამხრეთ ოსეთში ჩამოსული სტუმრები.

(საქინფორმი).

ახალშენებლობანი — იუბილეს

თითქოს ნათელი ხალიჩა მოჰფენოდა საავტომობილო ტრასას, რომელიც მიემართება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქისაკენ. ესენი არიან წითელყუელსახვევიანი ბავშვები, რომლებიც ყვავილებით ხელდამშვენებულნი ეგებებიან ძვირფას სტუმრებს.

გულითადი, შთამაგონებელი ი ყო საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებისა და ავტონომიური ოლქის სტუმრების შეხვედრა სამხრეთ ოსეთის ნორჩ თაობასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარაძეს, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. რ. პაპუნიძეს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს რ. მ. ბუტბას, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს ნ. შ. ენდელაძეს, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ა. ხ. ჩელდიევს, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. ზ. მაყაშვილს, პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანს ვ. პ. აბრამიშვილს ავტონომიური ოლქის საზღვარზე დახვედნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შ. კაბულოვა, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები.

მანქანების კორტეჟი ტრასიდან მარჯვნივ უხვევს და პატარა ლიახვის ხეობით მთებისკენ მიემართება. აქ ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზე შექმნილია ხელოვნური ზღვა. მართალია „ზღვა“ ჯერ პატარაა და არც ღრმა, რადგან სულ რამდენიმე დღის წინ დაიწყო ზონკარის წყალსაცავის ავსება. ქართლის ველის სახალხო მეურნეობისათვის ამ მშენებლობის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს ამხანაგმა ფ. ს. სანაკოევმა, რომელმაც განსნა მშენებელთა მტანგი, ამ შესანიშნავი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობის უფროსმა რ. შ. ქემოკლიძემ, მოწინავე მემონტაჟე-გვირაბმშენებელმა გ. ლ. ალბორაშვილმა, ამხანაგმა ვ. პ. აბრამიშვილმა, ცხინვალის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ა. ოსტაევამ, ამხანაგმა ზ. ა. პატარიძემ. 65 მეტრი სიმაღლის კაშხალმა გადაკეტა ხეობა და შეიქმნა წყალსაცავი, რომელიც 45 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს. ეს წყალი საკმარისი იქნება ცხინვალისა და გორის რაიონების 70 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწების მოსარწყავად. საქართველოს წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს „მტკვარწყალმშენის“ ტრესტის კოლექტივმა სინამდვილე აქცია ქართველი გლეხის საუკუნოვანი ოცნება.

11 საათი და 30 წუთია. ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ხელს აჭერს ზონკარის სარწყავი სისტემის ასამოქმედებელ ღილაკს. დამსწრეთა ტაშის გრიალში პატარა ლიახვის წყლები საკავიდან იღვრება მდინარის კალაპოტში. იგი დამსწრეთა თვალწინ წყალუხვი გახდა.

კიდევ ერთი მშვენიერი საჩუქარი უძღვნეს ავტონომიური ოლქის იუბილეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქვეგანაყოფების კოლექტივებმა. ცხინვალში აშენდა და საექსპლოატაციოდ გამზადებულია წელიწადში 9 მილიონნი ნაწარმის სიმძლავრის ტრიკოტაჟის საცალების ფაბრიკა. ეს საწარმო დაგეგმარება გადაეჭრათ მოსახლეობის დასაქმების პრობლემა, საჭირო პროდუქციის წარმოებაში ჩავაბათ ორი ათასამდე კაცი.

ამხანაგებს ე. ა. შევარდნაძეს, ზ. ა. პატარიძეს, ვ. რ. პაპუნიძეს, ფ. ს. სანაკოევს, დელეგაციებსა და იუბილეს სტუმრებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. პ. გამცემლიძე, მშენებლობის მინისტრის მოადგილე გ. გ. ქართველიშვილი და საწარმოს დირექტორი მ. ვ. კასრაძე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, დელეგაციებმა და დღესასწაულზე ჩამოსულმა სტუმრებმა დათვალიერეს აგრეთვე ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი — ოლქის კიდევ ერთი ახალშენებლობა. ეს თანამედროვე მექანიზმებით აღჭურვილი საწარმო გათვალისწინებულია წელიწადში 6,9 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებისათვის. კომბინატის პირველ ნაბიჯებსა და მის მომავალზე ილაპარაკა საწარმოს დირექტორმა ა. ვ. ასანიშვილმა.

გაჭიანურებული მშენებლობა, დაკარგული ჰექტარები

მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი მოქმედ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციას ენიჭება. ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით.

სხვათა შორის, ეს ტენდენცია ჩვენს სამშენებლო პრაქტიკაში დღეს და გუშინ კი არ დამკვიდრებულა. ჯერ კიდევ მერვე-მეცხრე ხუთწლედებში ქვეყნის ბევრ რეგიონში სწორედ რომ ძოფიქრებულად, მასშტაბურად მიუდგნენ ქარხნებისა და ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პრობლემებს, რის შედეგადაც შესამჩნევად დაჩქარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი, კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის ორგანიზაცია, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ხაშურის მინის ტარის ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოებიც. მიზანი აქაც იგივე იყო: მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციის გზით დროის მცირე მონაკვეთში პრობდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება ნაკლები კაპიტალური დანახარჯებით.

ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე 11 მილიონი მანეთი უნდა დახარჯულიყო, აქედან 6 მილიონი მანეთი — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე. რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხანას სახალხო მეურნეობისათვის დამატებით 140 მილიონი ნახევარლიტრიანი ბოთლი უნდა მიეცა.

რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები დაიწყო იმ ვარაუდით, რომ ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემა დამთავრებულიყო 1975 წელს. სამწუხაროდ, გეგმოიჯარადრის — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს და მისი № 9 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელთა მიერ საქმისადმი გულგრილმა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ მთელი რვა წლით დააყოვნა სამუშაოების

რატომ ყოვნდება ხაშურის მინის ტარის ქარხნის ამოქმედება?

●●

დამთავრება. წლიდან წლამდე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმები იშლებოდა. ერთადერთი, რასაც ყოველწლიურად დიდი „გულმოდგინებით“ აღწევდნენ მშენებლები, ეს იყო კაპიტალდაბანდებათა გეგმების კორექტირება მათი მნიშვნელოვანი შეცირების მიმართულებით. 1974 წელს, მაგალითად, ოთხ-ნახევარი მილიონი მანეთის ნაცვლად მშენებლებს ორ-ნახევარი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება დაუგეგმეს. მიუხედავად ამისა, მთ მხოლოდ 600 ათასი მანეთის ათვისება შესძლეს.

ასეთი ტემპით მუშაობა რვა წელიწადს გაგრძელდა და 1975 წლისათვის ჩასაბარებელი ობიექტი შარშან დეკემბერში ამუშავდა. თანაც ობიექტს საგრძნობი ხარვეზები ჰქონდა და შესასრულებელი დარჩა 407 ათასი მანეთის სამუშაობა.

მოსალოდნელი იყო, რომ მშენებლები და მემონტაჟეები დამკვეთთან ერთად საგულდაგულოდ გაანალიზებდნენ შექმნილ მდგომარეობას, გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდებოდნენ დაუმთავრებელ სამუშაოს და 1981 წლის 15 იანვრისათვის მორჩებოდნენ საქმეს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. გავიდა მას შემდეგ ოთხი თვე და მხოლოდ 21 ათასი მანეთის სამუშაოებია შესრულებული.

ცოდვას ვერ დავიდებთ და პირდაპირ ვიტყვით: რეკონსტრუქცია დაწყებისთანავე გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამას კი ჰქონდა როგორც ობიექტური, ისევე სუბიექტური მიზეზები. უცნაური მაინც ის გახლავთ, რომ დამკვეთი — რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო, გენმოიჯარადრე — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო და სუბმოიჯარადრე — „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველო ცალ-ცალკე თავის მართლების მიზეზებს უფრო ეძებენ, ვიდრე ვითარების გამოსწორების გზებსა და საშუალებებს. ისინი ერთმანეთს აბრალებენ შექმნილ რთულ მდგომარეობას, ეს კი სამეს არ შველის. სახალხო მეურნეობა ელის ქარხნის პროდუქციას — ბოთლებს, რომელიც ძალიან სჭირდება რესპუბლიკის მინერალური წყლებისა და შამპანური ღვინოების ჩამომსხმელ საწარმოებს.

გაბნელ ხუთწლედში ქარხნის რეკონსტრუქციის გაჭიანურების გამო ქვეყანამ ვერ მიიღო ამ მილიონობით ბოთლი. განსაკუთრებული სიძნელეები შეექმნა 0,8 ლიტრიანი შამპანურის ბოთლების გამოშვებაში. მარტო შარშან ქარხანამ 14 მილიონზე მეტი ასეთი ბოთლი დაიკლო მომხმარებელს. გამოშვებული 1.300 ათასი ცალი ბოთლიდან კი ამ მიზნისათვის უვარგისი აღმოჩნდა 860 ათასი ცალი. საოცარია! ფართოდ „მოფიქრებული“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ძვირადღირებული ახალი მანქანა-დანადგარები და ათი ათასობით მანეთის ზარალი?!

აი, მშენებელ-დამკვეთის ერთობლივი „შემოქმედების“ კიდევ ერთი მაგალითი: 1976 წელს, როცა ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების უახლეს წლებში დამთავრების იმედი გადაეწურათ, ახალი კაზმის მოსამზადებელ საამქროში დასამონტაჟებლად გამზადებული ახალთახალი მანქანა-დანადგარები ძველში გადაიტანეს, დაამონტაჟეს, და ამ გზით მინის ტარის წარმოებაც რამდენადმე გაზარდეს. მაგრამ ახალი კაზმის მოსამზადებელ საამქროში სამონტაჟო სამუშაოების დაწყებისას გამოირკვა, რომ მთელი რიგი დასამონტაჟებელი კვანძები და მოწყობილობა ადგილზე არ აღმოჩნდა, ზოგი დანადგარის მთავარი ნაწილებიც შემოეხარჯათ, ხოლო მათ შესავსებად კვების მრეწველობის სამინისტროს თავის დროზე არ უზრუნეა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ვითარებას, როდესაც ობიექტის მშენებლობა უკვე დამთავრებულია, და მხოლოდ მაშინ ირკვევა, რომ უფრო რაციონალურად შეიძლებოდა ძალებისა და სახსრების გამოყენება. ვერც ხაშურის მინის ტარის ქარხანა გადაურჩა ასეთ წინდაუხედაობას. ახლა მიაჩნიათ, რომ უპირველესი საზრუნავი იმთავითვე კაზმის მოსამზადებელი საამქროს მშენებლობა უნდა გამხდარიყო. მაშინო, ამბობენ ისინი, თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი საამქრო მთლიანად უზრუნველყოფდაო ღუმელების გამართულ მუშაობას, ამკამად კი ოთხი მძლავრი ღუმელი ძველი კაზმის საამქროდან „იკვებება“.

ქარხანაში აშკარად იგრძნობა დისპროპორციები საამქროებისა და უბნების საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებაში, რაც საგრძნობლად ხელს უშლის პროდუქციის გამოშვების გეგმაზომიერ ზრდას. და მაინც, განა იმთავითვე არ შეიძლებოდა განეკუთვნოთ მოსალოდნელი მდგომარეობა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა.

დღეს კაზმის მოსამზადებელი კორპუსი თითქოს მზად არის საექსპლოატაციოდ, მაგრამ მის ამოქმედებას ხელს უშლის დაუმთავრებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, წარმოების სხვა უბნების რეკონსტრუქციის დროს დაშვებული შეცდომები. კერძოდ, საქმე ეხება სამლამე მეურნეობას, სადაც მხოლოდ ახლა მთავრდება სალექი კამერებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება აქვეითებს ქარხნის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მინის ტარის გამოშვების მიმდინარე წლის დავალებების შესრულება, აქედანვე ეტყობა, განწირულია.

ნებისმიერ მშენებლობას, რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაობს პარტიული, სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან უნდა ვუდგებოდეთ. უნდა ვეძიოთ, რაც შეიძლება მეტი ამონაგები მივიღოთ ყოველი დახარჯული მანეთიდან. მით უმეტეს, დღეს, როცა კვების ობიექტების მშენებლობის, მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის საკითხები ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

ჩვენ მოველით, რომ ხაშურის მინის ტარის ქარხნის ამოქმედების დაჩქარებას სწორედ ასე მიუდგებიან რესპუბლიკის მშენებლობისა და კვების მრეწველობის სამინისტროები, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“, პარტიის ხაშურის რაიონული კომიტეტი და რაიონული საბჭოს აღმასკომი.

გ. ვაშაკიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

აგრესორი განაგრძობს გამოუცხადებელ ომს

ბეირუთი. ისრაელის მხედრობინი განაგრძობს გამოუცხადებელ ომს ლიბანის წინააღმდეგ. 10 მაისს ისრაელის არტილერიამ ინტენსიურად დაუშინა ცეცხლი ქვეყნის სამხრეთის ვრცელ რაიონებს. აღრესორთა ცეცხლში მოხვდა სამხრეთ ლიბანის ქალაქ ნაბათიის რაიონი, ქალაქ ტირის, პალესტინელ ლტოლვილთა რას ალ-აინის, რაშიდიის, ალ-ბასის, ბურჯ აშ-შიმალის ბანაკების მიდამოები, მაალის, ჯერმაკის, არნუნის და სხვა დასახლებული პუნქტები. გვიან საღამოს ისრაელებმა სცადეს ვერტმფრინავებით გადაესხათ დესანტი დეირ-ზაჰრანის რაიონსა და ზეფთანემეირის რაიონში. ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებულმა რაზმებმა ბრძოლა გაუმართეს თავდამსხმელებს. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა და აგრესორები უკუაგდეს. ამავე დროს ტელ-ავივის სამხედრო კატარღები დაახლოებით შუაღამისას მიუახლოვდნენ სამხრეთ ლიბანის სანაპიროს ქალაქ საიდის რაიონში და ცეცხლი დაუშინეს საცხოვრებელ უბნებს.

ლიბანის წინააღმდეგ თავისი აგრესიული აქციების დროს ისრაელი თავს უყრის ჯარებსა და ტექნიკას სეპარატისტთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ ლიბანის რაიონებში.

კვლავინდებურად რთული და საშიში ვითარებაა ლიბანის დედაქალაქში. ღამით სავაჭრო ცენტრსა და მთელ რიგ სხვა ადგილებში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის სექტორებად ქალაქის გამყოფი ხაზის გაყოლებით, გაისმოდა სროლა, რომლის დროს გამოიყენეს გრანატები და არტილერია.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ისრაელის საოკუპაციო ჯარები შიშსა და ტერორს თესავენ მკვიდრ მოსახლეობას შორის დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე.

სურათზე: ისრაელ ჯარისკაცთა ზედამხედველობით მიმდინარეობს ღაზის სექტორის არაბი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

ნეონაცისტთა დანაშაული

ბონი. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ჰესენის მხარის მთავრობის მეურნეობისა და ტექნიკის მინისტრი გ. კარი, როგორც ჩანს, მემარჯვენე ექსტრემისტებმა მოკლეს. ამას იუწყება გაზეთი „ბილდ-ციატუნგი“. მკვლელობის შემდეგ ამ გაზეთის მაინის ფრანკფურტის ბიუროში გაისმა ტელეფონის ზარი. ვიღაცამ აცნობა, რომ ტერორისტული აქტისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს დაჯგუფება, რომელიც თავის თავს „მესამე რეიხის მომრაობას“ უწოდებს. მანვე განაცხადა, „კიდევ რამდენიმე აქციაა აქვთო დაგეგმილი პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ“.

ბოლო დროს დასავლეთ გერმანიაში მკვეთრად გააქტიურეს საქმიანობა ნეონაცისტურ და სხვა მემარჯვენე ექსტრემისტულ დაჯგუფებათა წევრებმა.

GMIR ქალაქ კიევში მემორიალური კომპლექსის ხაზეიმო გახსნაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია. სხვადასხვა ქვეყნების პრესა, რადიო, ტელევიზია დაწვრილებით ინფორმაციას იძლევა ამ სიტყვის შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას ამ სიტყვაში მიაპყრობს მგზნებარე მოწოდებას მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნების, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების, უგუნურობაზე გონიერების გამარჯვებისათვის.

„საბჭოთა კავშირი ასრულებს სამშვიდობო პროგრამას“ — ამ სათაურით აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას უნგრული „ნეპსაბადშაგი“. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, წერს გაზეთი, სკკპ ამასწინანდელმა ყრილობამ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი მიზანია მშვიდობა. ამ ყრილობაზე წამოყენებულ ინიციატივათა კომპლექსს ადამიანებმა უწოდეს სამშვიდობო პროგრამა 80-იანი წლებისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას რომ განმარტავს **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის** ელჩის **ჩალიფიშა** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს ვერ შეაშინებენ ვერანაირი მუქართ. საბჭოთა კავშირის ყველაზე წმიდათაწმიდა ვალია უზრუნველყოს თავისი და მოკავშირეების უშიშრობა, საიმედო მშვიდობა საბჭოთა ხალხისათვის.

ამერიკის ენ-ბი-სის კომპანიის სატელევიზიო ახალი ამბების პროგრამის მორიგი გადაცემა დაიწყო ცნობით კიევში მემორიალური კომპლექსის გახსნაზე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ. ამ პროგრამის წამყვანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელმა „კვლავ მოუწოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგის განგრძობისათვის“.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობაში, რომელიც დაწვრილებით აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსს, აღნიშნულია: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს მიმართა ახალი მოწოდებით მოაწყონ საფუძვლიანი დიალოგი და განიცადა, რომ ყოველ კონსტრუქციულ იდეას სსრ კავშირი მუდამ გაგებით მოეკიდება. სადაც უნდა გაიმართოს მოლაპარაკება, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, რა პრობლემასაც უნდა მიეძღვნას იგი, ქვეკუთხედად მივიჩნევთ და კვლავაც მივიჩნევთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ინტერესებს.

უკანასკნელ წლებში, წერს სკანდინავიის უდიდესი შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“, სსრ კავშირმა წამოაყენა მთელი რიგი წინადადებები, რომელთა მიზანია განიარაღების მიღწევა, მაგრამ ჯერაც არ მიუღია გარკვეული პასუხი დასავლეთის მხრიდან. მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა არ უპასუხა საბჭოთა წინადადებას მოაწყონ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის ახალი შეხვედრა. ამასთან და ეს ნათლად გამოვლინდა კიევში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში — დღემდე არასოდეს არ ყოფილა ესოდენ აუცილებელი გაბედული და პატიოსანი ცდები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა შორის ნდობის ღონისძიებათა განხორციელება.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კვლავ მოგვიწოდებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგისათვის“, „მოწოდება დიალოგისათვის შეიარაღების შემცირების მიზნით“, „საბჭოთა კავშირი მიესალმება სამშვიდობო მოლაპარაკებას“ — ასეთი სათაურებით გამოაქვეყნეს ტოკიოს გაზეთებმა ცნობები კიევში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვაში შესახებ. საბჭოთა ხელმძღვანელმა, წერს „იომიური“, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება არასოდეს იქნება მიმართული ხალხების საზიანოდ.

მოკლედ

● თეირანი

აქ ჩამოვიდა მიუმხრობელი ქვეყნების დელეგაცია. მისი ამოცანაა გაეცნოს ირანის ხელმძღვანელობის თვალსაზრისს ირან-ერაყის შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარების შესახებ. დელეგაციის წევრები — კუბის, ინდოეთის, ზამბიის საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელი გამართავენ მოლაპარაკებას ირანის პრეზიდენტ ბანიასადრთან.

შემდეგ დელეგაცია ბაღდადს ეწვევა.

● დელი

ვიეთარება ქალაქ ბიჰარა-რიფსა და ინდოეთის ბიჰარის შტატის სხვა დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სახლსიმღვრელი რელიგიური შეტაკებები მოხდა თემებს შორის, რის შედეგადაც დაახლოებით 50 კაცი დაიღუპა, თანდათან ნორმალური ხდება. შემცირებულია კომენდანტის საათი, მუშაობა განაახლეს მაღაზიებმა და სკოლებმა.

● ბრაზავილი

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 36 წლის თავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა დედაქალაქის არმიის კლუბში. გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ კონგოს სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, ეროვნული არმიის ხელმძღვანელი კადრები და სამხედრო მოსამსახურეები.

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

დედაქალაქის ზეირბზე

12 მაისი

მიზანი — გამალებული შეიარაღება

ნატოს სამხედრო ორგანოთა სხდომები ბრიუსელში

ბრიუსელი. აქ დაიწყო ნატოს სამხედრო ორგანოთა სხდომების სამდღიანი სერია. ამ ღონისძიებაში მონაწილეობენ მილიტარისტულ ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები და გენერალური შტაბების უფროსები.

სხდომები გაიხსნა ევროჯგუფის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრით, რომლის მიზანია „უზრუნველყონ“ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა „საბრალო ღონისძიებების უკეთესი კოორდინაცია“. შეხვედრაში მონაწილეობენ 11 სახელმწიფოს (საფრანგეთისა და ისლანდიის გარდა) თავდაცვის მინისტრები.

ეს შეხვედრები მიმდინარეობს სულ რაღაც სამი კვირის შემდეგ, რაც რომში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაიმართა ნატოს საბჭოს სესია, რომლის გადაწყვეტილებებმა ასახა უწინარეს ყოვლისა ვაშინგტონის ადმინისტრაციის გეგმა, გააძლიეროს საერთაშორისო დაძაბულობა და დაიჩქაროს გამალებული შეიარაღება. სესიის მონაწილეებმა მოიმიზეზეს ცრუ მტკიცებანი ეგრეთ წოდებული „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და გამოაცხადეს ფართო პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში გამალებული შეიარაღების გაჩაღებას, აგრეთვე აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში შეღწევას და მათზე სამხედრო ზეგავლენის მოხდენას.

ნატოს სამხედრო ხელმძღვანელები ბრიუსელში „დეტალურად შეიმუშავებენ“ ღონისძიებებს იტალიის დედაქალაქში მიღებული პროგრამის განსახორციელებად, აგრეთვე იმსჯელებენ იმაზე, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, და კერძოდ, ევროპაში ბრთვული შეიარაღების საწინააღმდეგო მოძრაობის ზრდამ, ნატოს გეგმებზე.

ინტერვიუ

დამასკოში — ბაზრობაზე

საქართველოდან მისამართით „სირია-დამასკო-ბაზრობა“ გაიგზავნა პირველი კონტეინერები. მათში მოთავსებულია დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა ექსპოზიციის ექსპონატები. მიმდინარე წლის აგვისტოში ჩვენი რესპუბლიკა ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელი გაფართოებული განყოფილებით.

საქინფორმის კორესპონდენტი მ. ხანანაშვილი შეხვდა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავჯდომარეს გ. ოყროშიძეს და სთხოვა მოეთხრო მომავალ ბაზრობასა და საქართველოს ექსპოზიციის შესახებ.

— დამასკოს ბაზრობა წარმომადგენლობითი საერთაშორისო საკომერციო ფორუმია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყანა. მიმდინარე წელს იგი ოცდამეშვიდედ ეწყობა. სსრ კავშირი ბაზრობის ტრადიციული მონაწილეა.

საქართველოს ექსპოზიცია დაახლოებით ხუთას კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს, მისი ძირითადი მიზანია ლენინური ეროვნული პოლიტიკის — ხალხთა მეგობრობისა და თანასწორუფლებიანობის პოლიტიკის გამარჯვების დემონსტრაცია, აგრეთვე „რესპუბლიკის მრეწველობისა“ და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და განათლების მიღწევათა ასახვა. მასში ძირითადი ადგილი დაეთმობა საქართველოს სს რესპუბლიკის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ინტეგრაციის, მსოფლიოს ქვეყნებთან თანამშრომლობის ჩვენებას.

ჩვენი პავილიონის ექსპონატები ძალზე მრავალფეროვანია. მასში წარმოდგენილი იქნება ელმავალ „ვლ-11“, წყალქვეშაფრთიან თბომავალ „კომეტას“ მოდელები, ჩარხები, მოწყობილობა, ელექტროტექნიკური, მსუბუქი, კვების მრეწველობის ნაწარმი, სუვენირები, ეროვნული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, წიგნები, გრამფირფიტები და სხვა.

ფერადი სლაიდები და დოკუმენტური ფილმები დამთვალიერებლებს გააცნობენ საქართველოს ბუნებას, მის დედაქალაქ თბილისს, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებს და ა.

იყალთოში ამანათი მოვიდა

იყალთოს ძველი აკადემიის ნაფუძარზე ყოველთვის ხალხმრავლობაა. ვის არ ნახავთ აქ. სტუმართა შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც დიდი ინტერესით ეცნობიან იყალთოს აკადემიის წარსულს, დღევანდელ ცხოვრებას, რაიონის მშრომელთა კულტურულ ყოფას და სხვ.

სტუმრები ყოველთვის დიდად ინტერესდებიან სახალხო უნივერსიტეტთან შექმნილი წიგნთსაცავით, რომელიც აღორძინებულია იყალთოს აკადემიის ძველად მდიდარი, შემდგომ იხტორიის ქარტეხილის მიერ განადგურებული წიგნთსაცავის ტრადიციებზე.

სახალხო უნივერსიტეტის წიგნთსაცავი უურადღებას იპყრობს შოთა რუსთაველის პოეტური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემით, რომელთა შორისაა ბევრი საზღვარგარეთიდან მიღებული საჩუქარია.

ამ დღეებში კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან იყალთოს სახალხო უნივერსიტეტმა კიდევ ერთი ამანათი მიიღო, რომელშიც ბერლინში ახლად გამოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აღმოჩნდა. ამ გამოცემის თარგმანი ეკუთვნის ცნობილ ავსტრიელ პოეტს ჰუგო ჰუპერტს, ილუსტრაციები კი ლევან ცუცქირიძეს.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის წიგნთსაცავი „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი საინტერესო ეგზემპლარით გამდიდრდა. იგი გამოგზავნეს იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის სექციის დოცენტმა ზილფრიდ მალკემ და ჰალეს უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის გამგემ, პროფესორმა გოტფრიდ ანგერმა, რომლებიც შარშან საქართველოში ყოფნის დროს ეწვივნენ იყალთოს აკადემიას და გაეცნენ მის სიხსლსაკენ ცხოვრებას.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

1981 წელი ინვალიდთა საერთაშორისო წელია. მისი დევიზია „სრული მონაწილეობა და თანასწორობა“

მეხსიერების კუნძული

კვიპაროსებიან ეზოში, რომელიც რკინის მაღალი გისოსებიდან ცალი თვალით მტკვარს გადაჰყურებს, კანტიკუნტად აღწევს დიდი და მშფოთვარე ქალაქის ხმები. ეზოში ფეხაკრეფით დაიბიჯებს სიჩუმე, ბილიკებზე ჩაფიქრებული, გამოზამთრილი ნაბიჯებით ბოლთას სცემენ რუხხალათიანი ადამიანები. რამდენიმე მათგანი გულდაგულ უბარავს ხეებს. ბარის ყოველ დაკვრაზე ბელტებს გაზაფხულის ის სურნელი ამოაქვთ გამობარი მიწიდან, ყოველთვის გამოუცნობი იმედით რომ აღავსებს ადამიანს.

რაღაც ნაცნობი სურათია, ვფიქრობ, და უეცრად მეხსიერებაში ჩაძირული კუნძულივით ამოტივტივდა ბავშვობისდროინდელი მოგონება: საზაფხულო არდადეგების ერთ ნაწილს ხშირად სურამში ვატარებდი ბიძასთან, რომელიც იმჟამად იქაური ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა. ბიძაჩემის სახლი საავადმყოფოს უზარმაზარი ეზოს განაპირას იდგა და მესერით იყო შემოღობილი. ხანდახან ცნობისმოყვარე ბავშვი უფროსების დარიგებას არ ვისმენდი და საავადმყოფოს ეზოს სიღრმეში შევიპარებოდი ხოლმე. გუშანით ვგრძნობდი, რომ იქ რაღაცით განსხვავებული სამყარო იყო. იმ სამყაროსი თავდაპირველად მეშინოდა კიდეც, მაგრამ მაინც, არ ვისვენებდი, მოჩვენებითი გულგრილობით, ვითომ პეპლებს დავდევდი, სინამდვილეში კი ცალი თვალი რუხხალათიანი ადამიანებისაკენ მეჭირა. ნელ-ნელა შიში გამიქრა, ავადმყოფებიც შემეჩვივნენ და გულობილადაც კი მესალმებოდნენ. განსაკუთრებით ერთი ყმაწვილი ქალი დამამახსოვრდა. როგორც კი თვალს მოვკრავდა, ფანჯარას მოადგებოდა და მიძახდა: — ანზორ, გეხვეწები. დედასთან წერილი გამიგზავნე, ჩამოვიდეს, წამიყვანოს!..

ასე გრძელდებოდა თითქმის მთელი თვე, სანამ ერთხელაც ატირებული ბიძაჩემს არ გამოვუტყდი ყველაფერში. მან ჩემი ონავრობის ამბავი, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ არ დავუტუქსივარ. მხოლოდ ასე მითხრა, ეგ, შვილო, სულით ავადმყოფია და ყველას მაგ სახელს უძახის, დედაც არა ჰყავს, მაგრამ რა ქნას ბედშამა, რომ არც ახლობელი აკითხავენო. მაშინ რას მივხვდებოდი, რომ ბიძაჩემის სიტყვებში დიდი პრობლემა იმალებოდა.

გადაიოდა დრო, ზაფხული ზაფხულს მისდევდა, და როგორც კი სურამში, საავადმყოფოს ტერიტორიაზე მოვხვდებოდი, იმ საბრალო ყმაწვილქალს ეზოში გვირილებს ვუკრეფდი. არ ვიცი რატომ, მაგრამ მეს წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

და აი, ახლა, როცა თბილისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს ეზოში შევდგი ფეხი, წარმოვიდგინე, თითქოს, კვლავ გვირილების თაიგული მეკავა ხელში.

მაგრამ, თურაც, ავადმყოფისათვის არსებობს უფრო დიდი საჩუქარიც. მას რწმენა ჰქვია.

ბიოლოგიური მაკარეგლის ძიებაში

სრულიადაც არ არის საჭირო ფსიქიატრობა, რომ ერთ დასკვნამდე მიხვიდეთ: რაკი ფსიქიკური დაავადებანი, კონკრეტულ შემთხვევაში კი შიზოფრენია, ნონგბრივი დაავადებაა, იგი ადამიანის ყველაზე რთულ ორგანოსთან — ტვინთან და, აქედან გამომდინარე, პიროვნებასთან მის აზროვნებასთან არის დაკავშირებული. ახლა თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ყოველ ადამიანს თავის ტვინიდან და მისი ფუნქციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე აბსოლუტურად ინდივიდუალურად უვითარდება აზროვნება, მაშინ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა მკურნალობა ძალზე რთულია, და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ მედიცინამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საწადელს — ბოლომდე ვერ მოერია ამ დაავადებას. ფსიქიატრია იკვლევს მას, და დადგება დრო, როცა საბოლოოდ გადაჭრის მის წინაშე დასმულ ამოცანას. სხეული და გონება ერთად შუშაობს, ისინი არაკვითარ შემთხვევაში არ განიყოფებიან ერთმანეთისაგან, და ამიტომ ავადმყოფობა, რომელიც უმალ ელენ ნერვულ მოქმედებაში ვლინდება, ბიოქიმიურ სფეროშიც უნდა გამომჟღავნდეს. ამ დარგში ძალზე ბევრი განზოგადებული იდეა და თეორია არსებობს, მაგრამ მათ დამტკიცება სჭირდება.

დიახ, უეჭველია, რომ შიზოფრენიის ბიოლოგიური მატერიალური მატარებელი აუცილებლად არსებობს და ამ დაავადების საბოლოოდ შესწავლა და განკურნება ბიოლოგიური კვლევის გარეშე შეუძლებელია. ამ მხრივ, ისევე როგორც საზღვარგარეთ, ჩვენშიც დიდი კვლევა მიმდინარეობს. ამ საკითხზე მუშაობენ თბილისის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტშიც, რომელსაც აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი ხელმძღვანელობს. ერთი სიტყვით, კარგა ხანია დადგინდა, რომ შიზოფრენია არა მარტო ფსიქიკური, არამედ ბიოლოგიური დაავადებაც ორის და სისხლისა და ტვინის უჯრედების ურთიერთმოქმედება უდავოა, მაგრამ დაუდგენელი დარჩა მთავარი: სისხლი წამლავს ტვინს, თუ პირიქით, ტვინი — სისხლს. დღეს მსოფლიო ფსიქოფარმაკოლოგიაში არსებობს 1500-მდე დასახელების წამალი, რომელ თაგან ზოგიერთის დანიშნულება უკვე ძალზე გამიზნული და კონკრეტულია.

ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი გახლავთ.

ამ საუკუნის ავადმყოფობა?

წარმოების მექანიზაციამ, ავტომატიზაციამ, ქიმიზაციამ, გონებრივი შრომის მზარდმა ხვედრითმა წილმა, ნევროფსიქიკური ენერგიის დიდი ხარჯვა გამოიწვია. ადამიანი ფიზიოლოგიურად ყოველთვის როდი ეგუება ახალი ცხოვრების რიტმის ტემპს, ტექნიკურ პროცესს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დედამიწაზე არნახულად იმატა მოსახლეობამ, რაც გენეტიკური ფაქტორების საფუძველზე, ფსიქიკურად დაავადებულთა რიცხვის მატებასაც გამოიწვევდა. იუნესკოს ცნობით, დღეს მსოფლიოში სხვადასხვა სახეობის ფსიქიკურად დაავადებულები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ერთდროულად ჭლექით, კიბოთი და გულ-სისხლძარღვთა სნეულებებით დაავადებულნი. მაგრამ მოდით, ნურც ძალზე შეეშფოთდებით. როგორც ჩანს, მკვლევარებს, რომლებიც ასე ვარაუდობენ, მხოლოდ ისეთი ადამიანები როდი ჰყავთ მხედველობაში, რომლებიც „ქვას ისვრიან“, „ფანჯრებს ამტვრევენ“, სხვებს თავს ესხმიან ან მკურნალობის გარკვეულ საფეხურს გადიან. ამ ციფრში იგულისხმებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველად ატარებენ სხვა, მცირე ფსიქიკურ დაავადებათა სიმპტომებს და ძალზე ბევრ ქვეყანაში ფიზპანსერებში არც არიან აღრიცხვაზე. დიახ, ძალიან ნუ შევშფოთდებით. ბოლოს და ბოლოს, არ არსებობს ადამიანი, რომელიც შეუმჩნევლად სხვა, რომელიმე დაავადების სიმპტომის მატარებელი არ იყოს, მაგრამ ეს რიდი ნიშნავს, რომ იგი ჩამოყალიბებული ავადმყოფია. აქ, ალბათ, უფრო ბუნებრივი იქნება, თუ ასეთი ტერმინი დავგებადება: კი მაგრამ არსებობს თუ არა რაიმე ზღვარი? ფსიქიატრები ამ კითხვაზე ასე გვიპასუხებენ: ჯერჯერობით ფსიქიკურ აღგზნებასა და ჯანმრთელი ადამიანის მდგომარეობას შორის ზუსტი ზღვარი დაუდგენელია, თუმცა ასეთი ზღვარი უნდა არსებობდეს და აღრე თუ გვიან მას აუცილებლად დაადგენს მეცნიერება... ახლა კი განა იშვიათად შეხვედრიხართ ცხოვრებით განაწყენებულ „ახირებულ“ კაცს, რომელიც, ვთქვათ, შიზოფრენიით დაავადებულზე უცნაურად გამოიყურება? ასე რომ, ფსიქიკური დაავადებანი და მათ შორის შიზოფრენია სულაც არ შეიძლება ამ საუკუნისათვის ყველაზე გავრცელებულ დაავადებად ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ამის თქმა შეუძლებელია.

რა არის რეაბილიტაცია?

ავადმყოფები მკურნალობის ხაზგრძელვა პერიოდში ფსიქოფარმაკოლოგიის შემდეგ შეიქმნა სოციალური თერაპია, რომელიც საბოლოოდ ითვალისწინებს ავადმყოფის მომზადებას საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. მოგვიანებით სოციალური თერაპია უფრო გალრმავდა, მრავალფეროვანი გახდა და მას თავისი სახელი — რეაბილიტაცია ეწოდა. ახლა უამისოდ წარმოუდგენელიც კი არის მკურნალობა. უფრო მეტიც, უკანასკნელ ხანს რეაბილიტაციის ცნება ძალზე გაფართოვდა და მასში არა მარტო მკურნალობის უკანასკნელ ფაზას, არამედ საერთო, ტოტალურ მკურნალობას გულისხმობენ.

ოთახის კედლებზე, რომლის ფანჯრები მეჩნიკოვის ქუჩაზე გადის, უამრავი ნახატი ჰკიდია. ისინი ავადმყოფებს დაუხატავთ და დაუხატავთ საკმაოდ კარგად, ისე, როგორც უმეტესობას არ შეგვიძლია ამის გაკეთება. ოთახში სამ მწკრივად ალაგებენ სკამებს. მერე ექიმებს შემოაქვთ ელექტროორგანი და ელექტროფონი. ამის შემდეგ პალატაში აცხადებენ, რომ დღეს მათთვის კონსერვატორიის ფორტეპიანოს განყოფილების მეზუთე კურსის ენთუზიასტი სტუდენტები გამართავენ კონცერტს.

— ვინ არის მსურველი დაესწროს ამ კონცერტს? — გაისმის შეკითხვა პალატაში.

მსურველი თავდაპირველად ბევრი არ არის. ოთახში ხუთიოდე ავადმყოფი შემოდის. მაგრამ, ეს, ისმის მუსიკის ხმა და ავადმყოფები ნელ-ნელა დგებიან საწოლებიდან და „საკონცერტო დარბაზში“ შემოდიან. ოთახი თანდათანობით ივსება. მალე აღმოჩნდება იმის მსურველიც, რომ თავად დაუკრას ელექტროორგანი. იგი ჯერ გაუბედავად ეხება კლავიშებს, ბოლოს კი თამამად, თავისუფლად უკრავს, უკრავს მისთვის სასურველ, საყვარელ მელოდიას და საკმაოდ კარგადაც. ერთმანეთს ცვლის კლასიკა და საესტრადო მუსიკა. შემდეგ მოსული სტუმრები იწყებენ ავადმყოფთა დაკვეთით სიმღერას. ავადმყოფთა სახეები საგრძნობლად მშვიდდება (ყოველ შემთხვევაში, მე ამას აშკარად ვატყობ) და როგორც ერთ დროს მზიარულ წვეულებაზე, ისე მღერიან ხმამაღწყობით, ცალ-ცალკე და გუნდურად. არადა, ამისთვის ერთხელაც არ ჰქონიათ „რეპეტიცია“. ახლა მათ არ ახსოვთ თავიანთი ავადმყოფობა, ამ წუთას ისინი თითქმის სრულიად ჯანმრთელები არიან. საუბრობენ დალაგებით, სევდა სევდას ჰგავს, სიხარული — სიხარულს. თუნდაც ამ ერთი საათისათვის, ავადმყოფებისათვის ამ რწმენისა და იმედის ჩასახვისათვის ღირს მთელი სარეაბილიტაციო მკურნალობა...

...მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია

საავადმყოფოს ერთ-ერთ ოთახში საინტერესო შეხვედრის მოწმე გავხდი. საავადმყოფოს ექიმები საავადმყოფოდან გამოწერილი ავადმყოფებს მასპინძლობდნენ. შეხვედრის მიზანი ნთელი და კონკრეტული იყო: როგორ გრძნობენ თავს, რა შენიშვნები აქვთ მკურნალობის არსებულ მეთოდებზე, ესე იგი რა მოსწონთ, რა არა და რას ისურვებდნენ.

ვუყურებდი, ვუსმენდი ამ ადამიანებს და ნელ-ნელა მიმტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ გონივრულად წარმართულ ფსიქიატრიულ მკურნალობას მართლაც ჰქონია აზრი და შედეგი. და კიდევ ერთი: რეაბილიტაციური მკურნალობის ერთ-ერთი უმთავრესი ფორმა, თურმე, ავადმყოფისა და მკურნალის ეგრეთ წოდებული „ამხანაგობა“ გახლავთ.

საავადმყოფოსათვის გარკვეული თანხების გამოყოფა სხვადასხვა კულტსაქონლის შესაძენად. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ავადმყოფებს როიალიც დასჭირდებათ, ტელევიზორიც და გიტარაც, მოლბერტიც, სპორტული ინვენტარიც, ჟურნალ-გაზეთებიც, და წიგნებიც. თუ გვინდა, რომ სარეაბილიტაციო მკურნალობამ ჩამოყალიბებული სახე მიიღოს, მარტოოდენ ენთუზიაზმით ფონს ვერ გავალთ.

გულგრილობა ბოროტებაა

დიდი აღმოჩენა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ერის კულტურაზე იმ ხიშნითაც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ ეკიდება საზოგადოებრიობა ფსიქიკურ ავადმყოფს, როგორ არის ასეთი ავადმყოფი მოვლილი.

არადა ჯოკულ ჩაუფიქრდებით, სამწუხაროდ, იმ დასკვნამდეც მიხვალთ, რომ ჩვენ შორის ჯერ კიდევ ძრიან ბეჯითმსტეტიც და გულგრილებიც და, წარმოიდგინეთ, ცინიკოსებიც კი, რომლებიც ფსიქიატრიაზე ხელის ჩაქნევით ლაპარაკობენ, ავადმყოფს დეფექტად თვლიან და, ზოგჯერ დასცინიან კიდეც მას, დასცინიან რემინიაში მყოფ ადამიანსაც კი, რომელსაც არც ძველ სამსახურში იღებენ და აღარც ახლში, უნდობლობას უცხადებენ და ა. შ. მაგრამ გადავხედოთ ისტორიას: ნუთუ ამ ორასი წლის წინათ ფილიპე პინელმა ტუუილბრალოდ ახსნა ბორკილები სულიერად დაავადებულ ავადმყოფებს, ნუთუ ჯონ ბატი ტიუკმა საუკუნის წინათ ავადმყოფებისათვის „ღია კარის“ სისტემა ამოდ დააწესა, ნუთუ ცივილიზებულმა სამყარომ დიდი ხნის წინათ არ უარყო რეფორმატორი „წმინდა მამის“ ლუდოვიკის აზრი ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა თავის ქალაში ეშმაკის ჩაბუდების შესახებ?... ნუთუ ამოდ დაშვრნენ ჰ. კორსაკოვი და ბეხტერევი, ასათიანი და ზურაბაშვილი? სამწუხაროდ, აქაც, ზოგიერთ ჯანმრთელ ადამიანში ჯერ კიდევ არსებობს ცრურწმენები და შიში ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისადმი. ცრურწმენები, და შიში კი მაშინ გაგვიქრება, როცა ავადმყოფებს მოვუსმენთ და მათ მეტი პატივისცემით მოვეპყრობით. მათ გაფრთხილება, სათუთად მოპყრობა და საზოგადოებისაკენ შემობრუნ ე ბ ა სჭირდებათ. ასე რომ, ამ საკითხსაც მხოლოდ თანამედროვე, გონებაგახსნილი ადამიანის პოზიციიდან უნდა მივუდგეთ. ფსიქიკურად დაავადებული ყველა ავადმყოფი დეფექტური როდი გახლავთ. ბევრი მათგანის ავადმყოფობა პერიოდულია და რემისიის დროს მათ ძალზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

ამის ფონზე კი ერთი ასეთი დამაფიქრებელი ამბავი უნდა გიამბოთ. საავადმყოფოდან გამოწერილ გ. ბ-ძეს ოჯახის წევრებმაც კი უნდობლობა გამოუცხადეს, არ აძლევენ კუთვნილ პენსიას, გაჰყარეს მეუღლეს, უარყოფენ მკურნალობის ციკლს. იგივე გ. ბ-ძეს არც ძველ სამსახურში იღებენ და არც ახალში. და ეს იმ დროს, როცა ეს ყმაწვილი კაცი ამჟამად შრომისუნარიანი და სოციალურად მისაღები პიროვნებაა. განა არ აფიქრებთ მის ახლობლებს, რომ მათი გულგრილობა მძიმე მდგომარეობაში აყენებს ახალგაზრდა კაცს, რასაც შეიძლება რემისიის პერიოდის შემოკლება და სხვა გართულებებიც მოჰყვეს? ყველა ავადმყოფის ოჯახის წევრებმა, მისმა ახლობლებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ აქედან. თუ თანამედროვე ფსიქიატ რ ი ა ში „ღია კარის“ პრაქტიკაზეა ლაპარაკი და ავადმყოფების ერთი ნაწილის ხანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას მცდარად თვლიან, მით უმეტეს არ შეიძლება ფსიქიკურად და მათ შორის შიზოფრენიით დაავადებული ადამიანის შინ გამოკეტვა, ანდა იმის გაუგებარი შიშით, რომ საავადმყოფო მავნებელია, სინდრომის გაძლიერებისას მისი დამალვა. მკურნალობაში გარკვეულ მიზანს რომ მივაღწიოთ, საჭიროა საავადმყოფოს, ავადმყოფისა და მისი ოჯახის წევრების ეგრეთ წოდებული „ამხანაგობის“ შექმნა, მათ შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარება.

მაგრამ უმთავრესი მაინც მთელი ექიმების დარაზმულობა უნდა იყოს. სარეაბილიტაციო მუშაობა კი არა მხოლოდ ამ დარგის პროფილის მკურნალების, არამედ მთელი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის გულისხმირებას და იმის ღრმა რწმენას მოითხოვს, რომ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა მკურნალობაში გაცილებით უკეთესი შედეგების მიღწევა შეიძლება. ექიმებს აქვთ ასეთი ცნობილი გამოთქმა: „ჩვენ ავადმყოფობას კი არა, ადამიანს ვმკურნალობთ“.

მაშ, აღვიესოთ რწმენით და ვიჩუქოთ იგი ავადმყოფს.

გ. ქოქიაშვილი.

ᲙᲝᲛᲞᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ:

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96,

ᲡᲢᲘ 07938

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲜᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲚᲔᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲜᲒᲘᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ — 99-48-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 98-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝᲕᲘᲡ ᲙᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 99-05-29, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 481-08-52; ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-86; ᲑᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲯᲣᲯᲦᲘᲓᲘ — 28-40; ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ — 2-23-44; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲭᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — 39-55; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 12-09; ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲪᲥᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 25-82.

ᲐᲩᲣᲥᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ!

მეხსიერების კუნძული

ამ საუკუნის ავადმყოფობა?

ბიოლოგიური მაკარეგლის ძიებაში

რა არის რეაბილიტაცია?

„კონცერტი“ ელეფანტოორგანისათვის

„ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ“ ᲔᲚᲔᲤᲐᲜᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲨᲕᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲛᲝᲬᲧᲝᲡ ᲙᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ.



ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

13 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ᲕᲠᲪᲔᲚᲘᲐ“ (Მ.), 09.40 — ᲓᲘᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ (Მ.), 10.05 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲔᲚ“ 10.35 — ᲡᲐᲒᲐᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲛᲘᲜᲐᲜ ᲨᲘᲠᲘᲜ“. 11.15 — ᲛᲮᲐᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲕᲔᲚᲘᲡᲢᲘᲠᲘ ᲑᲐᲠᲐ“, 12.25 — ᲡᲐᲒᲐᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲓᲘᲓᲘ „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ“ ᲠᲝᲚᲘ“, 13.00 — ᲢᲔᲚᲔᲙᲣᲠᲡᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲜᲗᲐ, 17.00 — ᲛᲣᲚᲢᲘᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 17.10 — ᲡᲐᲒᲘᲠᲣᲚ-ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ „ᲤᲐᲠᲪᲐᲜᲐ“, 17.30 — ᲨᲕᲘᲜᲘᲡᲬᲧᲐᲚᲗᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ. 18.00 — ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ — „ᲒᲐᲠᲘᲡᲯᲐᲪᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲘᲜᲘ“, 18.45 — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ“. 19.10 — ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲘ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲑᲚᲔ „ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘ“ — ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ. 19.45 — „ᲛᲔᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲜᲘ“ (Მ.), 20.00 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲔᲚ“. 20.30 — „ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲘ ᲝᲡᲔᲗᲘ 60 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ“ — ᲡᲐᲖᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲠᲔ�პᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲘᲔᲠᲘᲜᲔᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ, 22.00 — „ᲕᲠᲪᲔᲚᲘᲐ“ (Მ.), 22.35 — ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲢᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲥᲣᲩᲣᲚᲘ ᲛᲐᲭᲘᲜᲯᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲯᲐᲜᲔᲑᲜᲔ“, 23.00 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲔ“ (ᲓᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲗᲕᲘᲗ), 23.15 — ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ „ᲯᲐᲠᲚ-ᲪᲘᲡᲚᲘᲡ“. ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝ